

საქართველოს  
გაზეთთა კავშირი

# საქართველო



№ 3



საქართველოს გაზეთთა კავშირი


ტ

1911



## შ ი ნ ა ა რ ს ი.

I—გემი, —სურ.	1
II—შემოდგომის ია, —ლექსი ბახანსი	3
III—ტყის კომედია, —ვაჟა ფშაველასი	5
IV—მეთისე, —(თარგმანი) შარამ დემურასი	16
V—ცრუ-პენტელა ვანო, —ზდაზარი ნ. აზიანის	22
VI—გაზაფხული, —ლექსი ლადო გეგეჭკორის	30
VII—დედის შურის ძიება, —(თარგმანი) მ. კლიმაშვილის	34
VIII—ტარას შევჩენკო, —იაკობ გოგებაშვილის.	39
X—ანდერძი, —(შეფხენკოდან) გ. ქუჩიშვილის	44
X—ნაწყვეტი, —(თავისუფალი თარგმანი შეფჩენკოდან) ა. მს- შაიშვილის.	45
XI—ჩაის მცენარე, —იფლიტა სკაშიძის	46
XII—ქიმიო, —ხოლ ბერის (თარგმანი) ნ. ღამყურის	54
XIII—რებუსი, —წარმოდგენილი გ. ეხნაველის მიერ	62



გ ე მ ი .

## შინაარსი.

I — გემი, — სურ.	1
II — შემოდგომის ია, — ლექსი ბახანსი	3
III — ტყის კომედია, — ვაჟა ფშაველასი	5
IV — მეფისე, — (თარგმანი) მარიამ დემურასი	16
V — ცრუ-პენტელა ვანო, — ზღაპარი ნ. აზიანის	22
VI — გაზაფხული, — ლექსი ლადო გეგეჭკორის	30
VII — დედის შურის ძიება, — (თარგმანი) მ. კლიმაშვილის	34
VIII — ტარას შევჩენკო, — იაკობ გოგებაშვილის	39
IX — ანდერძი, — (შეგზენკოდან) გ. ქუჩიშვილის	44
X — ნაწყვეტი, — (თავისუფალი თარგმანი შეგზენკოდან) ა. შან- შიაშვილის.	45
XI — ჩაის მცენარე, — იულიტა ნაკაშიძის	46
XII — ქიმია, — ზღაპერი (თარგმანი) ნ. ლომურის	54
XIII — რებუსი, — წარმოდგენილი გ. ყანჩაველის მიერ	62



# შეშორების ია.



ყეს დ ~~კ~~ კოდა შვილები  
 საბრალოდ დაღრეჯილიყო  
 ჩამოჰცივივნოდა ფოთლები,  
 მიწაზედ დაფენილიყო.  
 დარი იყო და თბილოდა,  
 ხანდახან კიდევ ჰჳინულავდა.  
 რომ მიგეკვლივა, ბუნება  
 გაზაფხულისას მიჰგავდა.  
 დიად, რომ მსგავსება იცის  
 საღამომა და დიღამა  
 და, თუ რამ განსხვავება აესთ,  
 არ თუ იცოდა იამა.  
 ია მოსულა, გაშლილა,  
 გაზაფხულის ელის, ეტყობა.  
 ვაჰმე, საწუთროს ვერ იცნობს,  
 ის იმას გულით ენდობა!  
 სიკოცხლის სევდა, ვარამი  
 იმისთვის უცნაურია;  
 საწუთრო მოსწონს, ყველაყა  
 უყვარს, სიკოცხლე სწყურია.  
 წუთისსოფელი იმისთვის  
 ტკბილი და მშვენიერია.

საწყალი ია!.. იხაროს,  
 სანამდე ბედნიერია.  
 რა მნახა, მხიარულადა  
 ლამაზი თავი დამიკრა.  
 მე მწარე მოგონებამა  
 სატირლად გული დამიძრა.  
 „ერთიც გაავდრდეს, ვიფიქრე:  
 მაგას ვინ დაეხმარება?  
 დაჰთოვლის, დაიღუპება,  
 ზედ ფიფქი დაეფარება.  
 ძირს თოვლი ღზობას დაიწყებს  
 და მალლა ქარი—გრიალსა;  
 მთა—ქუხილს, ტყე—ღრე—ქიხქიხსა,  
 კორიანტელი—ტრიალსა“.  
 ნუ ააცივებ, უფალო,  
 თოვლს ნუ მაიყვან დრომდისა:  
 ეგებ იხაროს იამა,  
 იცოცხლოს მოწყენამდისა!

ბაჩანა.





# ტყის კოშეღია.

## მოქმედება I.

### გაგონსვლა პირველი.

**პირველი თავი.** (დაბურულ ტყეში დიდ მუხის ფესვებთან აბუხულა და სტირას. მის გვერდზე ზატარა ამოხიჩქნილი ორმო მისჩანს. მეორე თავი მზარბის, ზირველს ვერ აშხნევს, უნდა გასცდეს) თებრონე, თებრონე! მოიხედე აქეთ, ყურს აღარ მიგდებ? გამიგონე, მოდი აქ, მომხედე! (მეორე თავი შედგება).

**მეორე თავი.** დილა მშვიდობისა! რა იყო, რა ამბავია? (მიუახლოვდება) სონა, შენა? რა დაგმართნია, რა გატირებს?

**პირველი თავი.** რალა რა მატირებს?! დავიღუპე, დობილო, დავიღუპე! აი, დაჰხედე ამ ორმოს. იმ შეჩვენებულს, იმ წყეულს ვილაცას დაუცარიელებია. მერე, იცი, რა თხილი მქონდა შენახული, სულ საუკეთესო, გადარჩეული. ამოუთხრია, ამოუღია ვილაც რჯულზე ხელადებულს! დამსვა ცარიელზე იმ ღვთისაგან წყეულმა, ეგები ჩემის ცოდვით კბილები დასცივიდეს და თვალები დაეთხაროს.

**მეორე თავი.** შხამად შეარგოს! არა, იმ ოხერს, რა ამავი ჰქონდა გაწეული, რომ ეგრე უღმერთოდ და უნამუსოდ მოქცეულა?!. მაჩვი, ღორი ან დათვი იქნებოდა. (თვალებს დადად ახელს) უეჭველია, თავთავანი მაგას ვერ გაბედავდა ვერავინ, რადგან შეუტყობდით და დაისჯებოდა სასტიკად. სხვის საკუთრების ასე უხატროდ მოპყრობა კაი საქმე არ არის!

**პირველი თავი.** რის კარგი, გენაცვალე! ასეთი უხატრო ზნეობა და ყოფა-ქცევა თუ გამეფდა ტყეში, სათავგეთი სულ გასწყდება, ამოვარდება. ხუმრობა საქმეა?! საით სადა ვზიდე, სულ თითო თხილობით ვაგროვე. ვაკოწიწე; ზამთარ-

ში, განა არ იცი, როცა თოვლს დასდებს, საზრდოს შოვნა ძნელია და ვაი იმის ბრალი, ვისაც საკუქნაოში არაფერი აბადია, ამოსძვრება სიმშილით სული. მერე ამ ორმოს საქორწილოდ უფთხილდებოდი. განა არ იცი, ბიჭი დასაქორწილებელი მყავს და გოგოც—გასათხოვარი. აბა, ეხლა საით-როგორ გაუძღვე ამოდენა ხარჯსა. ერთად-ერთი ორმო თხილი-და მაქვს შენახული, აგერ იქ, ხევ-გაღმა და იმით რომელ ერთ ხარჯს გაუძღვე?

**მეორე თავი.** (თავს აქეთ-იქით აქნეკს) მაშ, მაშ! ჰმ! ჩვენში კი დარჩეს და ერთი რამ უნდა გითხრა. მართალია, ღორსა, მაჩვსა და დათვს დავაბრალებ (თხილის ორმოს ათვალი-ერებს), მაგრამ არა, ეს არც ერთის ბრალი არ უნდა იყოს. ორმოს ზედ მუხის ფესვი აფარია. ყოჩაღ, გცოდნია სად და როგორ გააკეთო ორმო. ეგრე უნდა. ღორს ან მაჩვს რომ ამოეთხარა, უეჭველად ფესვს ამოგლეჯავდნენ და დიდათაც ამოსთხრიდნენ; მე, ვიდრე ხერხს ვისწავლიდი, სად-როგორ გამეკეთებინა თხილის ორმოები, ბევრი თხილი შევწირე იმათ გაუმაძღარს ლაშ-პირს... ეს თავის ოინია. (დაბლა ხმაზე) სიმშილანთიდან მუდამ ღამე ორონ-ტრიალის, ტაშ-ფანდურის და ქიანურის ხმა ისმის; საიდან? როგორ? (პირველი თა-გვი უურებს ატყუებს).

**პირველი თავი.** სთქვი, სთქვი (სახე უბრწყინდება) რა-ღაც ახალი გინდა სთქვა და იქნება გამოდგეს.

**მეორე თავი.** ახალს ამბავს გეტყვი და შენ იცი, რომ გულში გექნება და ჯერ-ჯერობით არ გამოამჟღავნებ. ცოტა ხანს ყური უგდოთ... ჰოო, იმას ვიამბობდი, სიმშილანი, განა არ იცი, რაც ოფლის პატრონნი ბრძანდებიან. ამ ორის კვირის წინად თავად სიმშილა დადიოდა და დამთხოვარაობდა კარ და კარ, ჩემთანაც მოვიდა: ღონეს გამხადე, ერთი ათი-ოდრე თხილი მასეხნეო. მე უარი უთხარი და წავიდა. ვვონებ... ვვონებ კი არა, ნამდვილია, რომ სხვებმაც არაფერი მისცეს და ყველა იმას ეუბნებოდა, ამ ზაფხულს სად იყავი, რატომ არ იშრომე, არ გაისარჯეო. აბუზული დადიოდა.



**პირველი თავი.** უყურე, შენ უყურე! დაიცა, მოიცა! მერე?

**მეორე თავი.** მერე შევხედო, მეორე, მესამე დღეს, ქიანურისა და არხალალო-ვარხალალოს ხმა ისმოდა სიმშილ-ლანთავან. ბიჭოს!.. ეს რა ამბავია? მე ჩემთვის ვიფიქრე, ნუ თუ ყველა ეს სიმშილის ბრალია? თავად სიმშილა ისეთ ბუქნაში ამოდიოდა, რომ ქუდი ცაში და ტანისამოსი ცეცხლში გადადიოდა.

**პირველი თავი.** ჰოო, მაშ, ბევრი კვალის კვლევა საქირო აღარ არის. რასა ჰმალავდი, წელანვე ემაგრე იტყოდი, შე კარგო ადამიანო?!

**მეორე თავი.** ეს განა მარტო მე შევნიშნე, მთელი ქვეყანა გაოცებულია სიმშილანთ ლხინ-გახარებით; ქვეხანთზე კაი ოჯახი სად არი ამ ჩვენ არე-მარეში და ისინი მესამედადაც-კი არა ჰლხინობენ. რა ვიცი, რამ გააგიჟა ეგ ხალხი, თუ იმათ თავს ერთი რამ ამბავი არ არის? ეს დაიხსომე. მე ექვით ვლაპარაკობ, ხოლო თავის თვალით არაფერი მინახავს და, ყურით რაც მესმის, იმას მოგახსენებ.

**პირველი თავი.** უეჭველია. სიმშილანთ იქით არ ვეძებ. მიკვირდა, განა არა, ამ ერთ კვირაში, სულ, აი, ამ მზვარეში, მხვდებოდა, აქ დაეთრეოდა. მეც ხომ ყარაულად არ უდგევარ ჩემ ორმოებს: ხან ერთ ბინაზე ვარ, ხან—მეორეზე, ხან—მესამეზე. შაიგულებდა და მერე ერთ ღამეს გადაჰზიდავდნენ. მე შენ გითხრა, გასაწყვეტებს უკაცურობა შეაწყუბებდათ, ბუხებივით ირევიან. მაშ, დედა-კაცი არ ვიქნები, ისეთი დღე არ დავაწიო, თავის გაჩენის საათსა სწყევლიდეს. იქნებ იმას ფიქრობდეს, ქვრივ-ოხერია, ვინა ჰყავს პატრონი, შამრჩება, არაფერიო?.. მოიცა, ამ კავებს გავიყრენებ, თუ ვერ ვაწვნიო!.. (ამ დროს ცაზე ქვას გამაჩნდება და თავს დასტრიალებთ).

**პირვ. თავი.** სონა, სონა! ჩქარა თავს უშველოთ.

**მეორე თავი.** რაო? რა ამბავია?



**პირვ. თავვი.** შეიხედე მალლა, ჰხედავ, როგორ ლებს გვაცეცებს ის... ისა?..

**მეორე თავვი.** (ცაში იტქირება) უჰ, ღმერთმა დაგწყველოს! (ფრთხილად სარკვევად შექვრება).

### გამოსვლა მეორე.

(სოფელს კარებზე გამჩნდება მესამე თავვი ცელქა).

**ცელქა.** (მისჩერება სოფელს კარებს) ოჯახის პატრონო, ოჯახის პატრონო! შინ არავინა ხართ?

**ხმა სოროდან.** შინა ვართ, ვინა ხარ?

**ცელქა.** სიდედრო, შენ? მე ვარ ცელქა, შენი სიძე. იტყვის რა ამას, იჭიშება და უღვაშებს ისწორებს).

**ხმა სოროდან.** შინ შემოდი, მანდედამ რას იძახ? აბა, მალლა აიხედე, შენს თავს რა ამბავია?

**ცელქა.** (იტქირება ცაში) აქ არაფერიც არ არის.

**ხმა სოროდან.** როგორ—არა, ეხლახან ძერა დალახლახებდა, თავზე არ დაგეცეს.

**ცელქა.** ჰმ, მა რალა ბიჭობაა ჩემი, ძერამაც შემაშინოს, მით უმეტეს აქ ძერა არსადა სჩანს, მხოლოდ მუხაზე ერთი ჩიკვი ზის და ნისკარტით ტალახიან ფეხებს იწმენდავს, მე ვერც-კი მხედავს. შენც, ჩემო სიდედრო, გარედ გამოიხედო, ძალიან კარგი იქნება, რადგან მშვენიერი მზიანი დღეა, ცოტა რამ სალაპარაკო მაქვს, მეჩქარება.

**ხმა სოროდან.** აქ, შეილო, სხვა სტუმარიცა მყავს, ამას მარტოკა თავს ვერ დავანებებ. (სონა და თებრონე სოროდან იჭიშებიან).

**სონა.** მშვიდობა შენი მობძანება, სიძვე ბატონო!

**თებრონე.** მშვიდობა შენთან, ვაჟაკო ტოლ-უზოვარო!

**ცელქა.** ღმერთმა მოგცესთ მშვიდობა, ძვირფასნო მანდილოსანნო.

**სონა.** სიძვე ჩემო! მინდოდა შენი მოსვლა და სწორედ ილბალზე მოხვედი.



**ცელქა.** მგონია, ჩემო სიდედრო, რომ მე ვარ და შენ და უიღბლოდ არ უნდა დავდიოდე.

**სონა.** საქმიდანაცა სჩანს. სწორედ აგრეა. მეც იღბალი მქონია, რომ მოხვედი. შენი თავი ჩემთვის ძალიან საჭირო იყო.

**ცელქა.** ცოტა რამ სუნი ავიღე საქმისა... ყურებში რალაც დამაწყდა.

**სონა.** ოჰ, ოჰ, სიძვე, მე ხომ დავიღუპე, დამღუპა ვიღაცამ, იმ დასალუპავმა, პირდაპირ დამღუპა მთელი ორმო თხილი მოუპარია ვილაცას და დაუგდივარ ცარიელზე. (გაისმის აბ ღრას შ.შეკების და ჩიტების ფთხრავი ჟივილ-ხიკილი, „ჩხი-ჩხიოს“ ვეირავი ჩხიკვისა. ისმის ძლიერი ფეხის ხმა, ბარტყუნა და ბურტყუნი, ხეების ღაწა-ღუწი. გამოჩნდება დათვა. ცელქა მუხის ფეხს მკეთვარება. სორში თავკეპი განხებობან).

**დათვი.** (თავისთვის. იცქირება აქეთ-იქით, დაბლა) აღარა ღირს სწორედ ამ ტყეებში სიცოცხლე, ლამის სიმშლით სული ამომხდეს, ახლა ვის წყალობით? ვილაცა ჭია მატლები-სა: ჩიტები ვარო, თავგებიო; პირდაპირ ლუკმას გაცლიან პირიდან, ნეტა რა ასო-ტანისა და შეხედულობის პატრონები! ჩიტები კუნელს, ასკილს, ზღმარტლს აღარ უშვებენ ხეზე და თავგები — თხილს, კაკლს, წაბლს, წიფელას — დედა-მიწაზე, წადი და იცხოვრე! ჯერ კიდევ ორი თვე ზამთარია. ნეტავი შამედლოს, ხელი მიმიწვდებოდეს, სულ გავეუყო ეგ გასაწყვეტები! (დათვს თავზე ჩხიკვი დასჩხავის. დათვი ბუზღუნით ტყეში მიიშაჯება).

**ცელქა.** აი, გავიხმა თავი! შენ გინდა ცხოვრება და სხვას არა?

**თავგები.** მეხი-კი დავაყარეთ მაგის ტარტლიან თავსა! (ცელქას) წავიდა?

**ცელქა.** სერი გადიარა. ეტყობა, საფანელი შემოჰკლებია, რომ აგრე სწყრება?

**თავგები.** (გამოვლენ გარედ, სორს ზირზე დაუჩნტდებიან) ისემც წასულა — აღარ მოსულა!



**ცელქა.** ამინ და ეგრე იყოს! ძალიან მეწყინება, დაგიშლიათ...

**სონა.** ჩემო სიძევ, შენ გენაცვალე, მე ეგ არ მაჯავრებს, დათვის წყრომა ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. ვინძლო დამცემარო. უნდა ვეცადოთ, ქურდი როგორმე გამოვაჩინოთ.

**ცელქა.** ჩემო სიდედრო, შენ ნუ გეშინიან. ქურდი გამოჩენილია, მორჩომილია. მთელმა ქვეყანამ იცის. უღვაშს მოვიბარსავ, თუ ჩემი ეჭვი ტყუილი გამოდგება.

**სონა.** ვინა გგონია? (თუბრანეს შიუბრუნდება) ყოჩალია ჩემი სიძე, შენ არ დაიჯერებ, ეცოდინება?

**თებრონე.** შაიძლება, არ არის საკვირველი!..

**სონა.** (ცელქას) თქვი, შე კაი კაცო, ჩენთან რასა ჰმალავ?!  
 ცელქა. დასამალი რაა? სიმშილანთ გაიტანეს შენი ქონება.

**სონა.** ყოჩალ, ჩემო სიძევ, ყოჩალ, როგორ მიუგნია. აი, სიძე ამისთანა უნდა!

**თებრონე.** (ცელქას) დღე გძელი ხარ!.. სწორედ აგრეა, ჩვენც, ვიდრე შენ მოხვიდოდი, სწორედ ამ საგანზე გვქონდა სჯა და ჩვენც ეჭვი იმათზე მივიტანეთ.

**ცელქა.** უეჭველია: ყველა, ვინც-კი გაიგო, სიდედრო, შენი ორმოს გატეხა—გაქურდვა, სიმშილანთ აბრალებს, ეს ერთი კვირაა, დიდ ზეიმებსა ჰმართავენ თურმე.

**თებრონე.** (თავ-შამწონედ სონას) რო გითხარი, ქალო, ნახე? მაშ, ტყუილი არ მითქვამს.

**სონა.** (თუბრანეს) იცოცხლე! ქმარ-შვილი გიცოცხლოს! (ცელქას) მაშ, ჩემო ძვირფასო სიძევ, როგორ მოვიქცეთ, რას მირჩევ? მე მგონია, ასე აჯობებს, შენ ეხლავე გასწი და, საცა იყოს და არ იყოს, გზირს, მამასახლისს, ნაცვალს შეატყობინე. თითო წამი ძვირფასადა ღირს, დააკარ პური თორნეს, ვიდრე ცხელია. ამაღამვე თავს დავესხათ, სახლი გაუჩხრიკოთ. არ შეიძლება, ნიშანი რამ არ ვიპოვოთ.



**თებრონე.** დიალ, დიალ, სწორედ მაგრე უნდა მობრუნე, სჯობს მოგვარება საქმისა, არ დაყოვნება ხანისა. წადი ეხლავე, გასწი.

**სონა.** აბა, ჩქარა. ეცადე არ გიაზრონ სიმშილანთ, რისთვისაც დასდინარ და არ გაფრთხილდნენ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

**თებრონე.** მტერი დაგიმარცხოს!

**ელქა.** მივდივარ. შშვიდობით! (გარბის კუდ აბსეკაილი). (ისმის ტუეში დორატატოს ხმა, ძაღლების ეეფა: დაფ, დაფ, დაფ! გამობის კურდღელი. ხამუშ-ხამუშ შესდგება, უურს უგდებს. თრთის, კანკალებს. მარბიან შვლები, ირმები—თვალ დაფეთებულ-ნა. ისმის თფფის ჭახ-ჭუხი. ჩიტები ხეებზე ბუზდუნებენ, იწყებ-ლებიან, აქალებიან, თავგები სარბში გარბიან).

## მოქმედება II.

### გამოსვლა პირველი.

(ღამჯა. სიმშილანთ ბინა. კერაზე ცეცხლი ანთია. ცხრა-ათი სული ფუესფუესებს. სიმშილა, აჯახის უფროსი თავვი, ცეცხლანბირას შემო-წვლილია).

**სიმშილა.** (წამოიწევს) აბა, ერთი, დედა-კაცო, „სონა-სეული“ მოიტა, ვახშამი გავაჩალოთ. (სონასეულს, ნაქურდაფს თხიფს ეძახდა) ხელადაში ღვინო იქნება, ისიც მოიტა, სონა-ქალი უნდა ვადღეგრძელოთ. მე და ჩემმა ღმერთმა, ძალიან თხილი შეუნახია და ის დალოცვილი შვილი რომ არცა კითხულობს?! იქნება იმას თავისი ორმო ისევ სავსე ჰგონია?.. ხა, ხა, ხა! იმედიც კაი საქონელია! როცა ჰნახავს, საქმე მაშინ არი, მაგრამ მინამღე ჩვენ კიდევ გავათავებთ. ბლომად არის კიდევ?..

**კეკელა.** (ცალი) ჯერ კიდევ ბლომად არის. ამ დალო-ცვილმა ძალიან ბარაქა გამოიღო...

**სიმშილა.** სადა გაქვს შენახული?

**კეკელა.** ბრძამის კალათში. თხილი იყოს, თორემ ბუნაგზე არ დავლონდები.

**სიმშილა.** მოიტა და ყველას ჩამოურიგე თითო თხილი, მე ხომ იცი ერთი არა მყოფნის, მაშასადამე, ორი უნდა მომიტანო. თქვენ-კი, ბიჭებო, საკრავები მომართეთ.

**კეკელა.** ამ საათში. (მიდის და მოაქვს თხაფი და ურიგებს ყველას) დაიქით, ჩამომართვით, შაირგეთ და გაიხარეთ!.. (შეაღები ჭიანურსა და ფანდურს აწყობენ). ესეც ღვინო, ესეც ყანწი. (მოიტანს და დაუდგამს ქმარს გვერდით ხელადას, რომელსაც ყანწი აქვს პირში დაცული).

**სიმშილა.** ავაშენოს ღმერთმა, ჩემო დედა-კაცო, ყოჩაღ! აი, ეხლა მომწონხარ, აი ეხლა ხარ კაი დედაკაცი. (ასხამს ღვინოს ყანწში და იღვრება) ღიღობა ღმერთსა, ღიღობული ღმერთი შეგეწიოთ, ჩემო ცოლო და შვილებო, აგავსოთ პურიითა, ღვინითა და თავში ტვინითა. ეს უკანასკნელი კი ყველასა სჯობია, მე და ჩემმა ღმერთმა... ურააა! აბა, ბიჭებო, ჭიანური! ჩქარა! მოარჩით, რა დავემართათ, გული ნუ გამიხიეთ...

**შვილები.** ეხლავ, ემ საათში! აჰა, დაჰკა ბიჭო, დაჰკა! (გაისმის ჭიანურის და ფანდურის ხმა. ერთი დღოს უკრავს).

**სიმშილა.** (ცოფს) ბარემ ფეხზე ხარ, მოდი ერთი შენებურად დაუარე, პატარა გული გამიხალისე!

**კეკელა.** მაგაზე ადვილი რაღაა, შე კაი კაცო?! (თამაშობს). (ისმის ხმა გარედან: ოჯახის ზატრანო, ოჯახის ზატრანო! საკრავების ხმა შესწევება. მასუხს ადარ უცდიან და სიმშილასანთ კერაზე გამოიჭიმება მამასხდისი თავის იასულებით, ჩაფრებით, ცუქქა, სონა, თებრანე და სხვანი).

**მამასახლისი.** ავაშენოსთ ღმერთმა! კაი დროს მოვედით! სიდედრსა ვყვარებივართ. ჩვენ კი არ დავგვატიყებთ?! (ყველასი ფეხზე ადგებიან).



**სიმშილა.** მობძანდით, თქვენი ჭირივ, სტუმარი ღვთისაა.

**სონა.** აბა, რა? რატომ არ დაგპატივებთ! ვერ დაგიხედებათ თუ? ნაქურდალი, მე შენ მოგახსენო, ცოტა აქვს! ფასი არ გასვლია და პატივი. აი, შე წაწყმედილო, შე უღმერთოვ, შენა. რაზე დამლუბე და დამანიავე, შე დასაღუპავო, შე ღვთისაგან წყეულო! (დაეწვდება დაბლა, იდებს თხილს) ეს საიდან მოიტანე? საიდან? ჩქარა მიპასუხე!

**სიმშილა.** ღმერთმა ნუ გიცის. როგორ საიდან? თუ შენა გაქვს თხილი, ჩვენ რაღა დაგვემართა, რო არა გვეკონდეს?..

**მამასახლისი.** ეხლა ჩხუბისა და ლაპარაკის დრო არ არი. მე ჩემი სამსახური უნდა შევეასრულო. ეს ადამიანი გიჩივისთ თქვენ ქურდობაზე, ამისთვის თქვენ, სიმშილაანო, ერთი ორმო თხილი მოგიპარიათ, რომელიც დიდ, ნაკაფ მუხის ფესვებს ქვეშ ჰქონია შენახული და ამიტომ საჭიროდ ვცნობ სახლი გაგიჩხრიკოთ.

**სიმშილა.** (მამასახლისს) თქვენი ნებაა, გაჩხრიკეთ, მაგრამ ეს კი უნდა გითხრათ, რომ თხილი თხილსა ჰგავს, სერი და დამლა არა აქვს, რომ იმითი იცნოს დამკარგავმა თავისი საქონელი... მაშასადამე...

**სონა.** უყურეთ, უყურეთ, ამ წაწყმედილს, ამას! მაგ ჩრიკებით გინდა გახვიდე ფონსა? ვერ მოგართვით, განა არავინ იცის, რომ ეს ერთი თვეც არი, რაც თქვენ ჯერი გაგი თავდათ და მთელი სოფელი შესძარით თხოვნითა და ხვეწნითა. თუ გქონდათ საზრდო, ქვეყანას რაღაზე აწუხებდით, თქვე ამოსადაგავებო!

**მამასახლისი.** გაჩუმდით, ლაპარაკის დრო არ არის. (ხაგვას) შენ სანთელი მოანთე (მიდის და ათვალეურებს სხედის კუთხეებს. კედლის ბოძის გვერდით ზოუდაბს ბრძამის კადათს) ეს რა არის? აქ რაღაც ჩხაკუნობს. საიდან მოვიდა აქა? ხმა ღვთისა—ხმა ერისაო. ტყუილად კი არ იძახოდა ხალხი, მთელი დუნია (უშენს სიმშილას მათრახებს). შე ავაზაკო, შე ყაჩაღო! (სიმშილა ხან ერთ კუთხეში გარბის, ხან შედრეში).



**სიმშილა.** სიტყვა მათქმინეთ, სიტყვა! ეს ხომ უსამართლობაა... საქმის გამოუძიებლად...

**სიმშილას ცალი.** კაცს ნუ მიკლავთ, თქვე დასალევნო (მამასახლისს) რა დაგიშავა, შე დასამიწებელო, რო უწყალოდ მათრახებს უშენ?

**მამასახლისი.** შენცა გნებავს მათრახები? (გადაჰკრავს იმასაც) შენ ამათ უყურებ? რომ არცა ტყდებიან! მოიტათ, ბიჭო, თოკები, შებოქეთ ეს ავაზაკები დიდ-პატარიანათ. ხვალ ყრილობას წარუდგინოთ და ვნახოთ მაშინ ამათი ყოფა!.. აბა, ჩქარათ. (გზირ-ჩაფრების შიშვეთ თოკები და ჰკონავენ სათი თაოდ, ისმის წრინი და წრუწუნი თაგვებისა).

**სონა.** (ჩუმად მამასახლისს) ოი, შენს მარჯვენას-კი ვენაცვალე! ემაგრე, ემაგრე! რაც შეიძლება, დატანჯე ეგ გასაწყვეტები, დაწვი და დადავე. ეგ თხილიც შენი ფეშქაში იყოს და სხვასაც მოგართმევ, ოღონდ მაგათ ჯავრს ნუ მაქმევ.

**მამასახლისი.** (სონას) შენ არხეინად ბრძანდებოდე, ეხლა მე ვიცი, უნდა სამაგალითოდ დავსაჯო, ისე რომ, ორმობით რა სათქმელია, ცალი თხილიც კი არავის დაეკარგოს ამის შემდეგ... (მსკლბდებს) აბა, გასწით, წაიყვანეთ ეგ ტუსადები, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ. (გზირ-ჩაფრები მათრევენ ტუსადებს, ისმის ხმელ ფოთლის შრადი, გადმადან ბუს კივილი).

**სონა.** (მამასახლისს მისდევს თან და მისძახის) გაუფრთხილდით, მამასახლისო, გზაში არ გაგექცენენ, თოკები არ დაქრან, ფრთხილად იყავით. ხვალ მეც ყრილობაში გიახლებით... ვაჰმე, როგორ დამლუბეს და დამანელეს მაგ დასალუბავებმა და დასანელელებმა!.. (ტუსადები ან მისდევენ, რის გამოც კბალით და კლანჭებით მიეხიდებიან, ისმის ხმაურობა, ლანძღვა-გინება, მათრახების და ჯახების დაწა-ღუწი. ამ დროს ორი მხრიდან წინადას ესმისთ მელების ხვილი: „გაუ, გაუ!“)

**მამასახლისი.** შესდევით! აქ საფრთხე მოგველის.

**მსკლბდები.** მელები, მამასახლისო, მელები! ჩვენთვის გზა შეუკრავთ!

**მამასახლისი.** გაგვაფუჭებენ, თუ თავს არ უშველეთ.  
(შეღებების სმა თანდათან ახლოვდება) ბიჭებო, თავს უშველეთ  
ესენი - ეს ავაზაკები ხვალაც ჩვენს ხელთ არიან.

**მხლებლები.** არიქათ საფარი, თორემ დავიღუპებით!

**მამასახლისი.** ფრთხილად, თავ-პირი არ დაიმტვრიოთ!  
(თავგუები გარბა-გამოზრბიან, გაიფანტებიან, ხოლო ტუსადები რჩებიან  
შეკანილნი ერთ ალაგას).

(ფარდა).


**ვაჟა-ფშაველა.**





## მეზისა.

(დასასრული)



ა უბედურება მომეველინა შობის წინა დღეს!—ოხრავდა ლენცის ცოლი თავის ტყის ქობში. ხან ერთ ფანჯარასთან მივილოდა, ხან მეორესთან, ყოველს ხმაურობაზე კარებისკენ მირბოდა, მაგრამ ქმარი მაინც არ სჩანდა...

— მგონია, მამა დაიგვიანებს ყრმა იესოს მოსვლამდინ, სთქვა მაგდალამ.

— იმ დროსთვის კი მოვა, — ჩაილაპარაკა დედამ. — მაგრამ ასე თავის დღეში არ დაუგვიანია. დღეს მაინც რაღაც მოუსვენრავდა ვარ!

ამ დროს ფანჯარა დააბრაზუნეს.

— მადლობა ღმერთსა!

მაგრამ ლენცი არ არის! ტყის მჭრელს შეჰგვიანებოდა და გავლის დროს დარაბებიდან ჰკითხვა:

— ნათლიდელ, ეს რა საქმე ჩაუდენია?

— ვისა?

— იმას!

— არ ვიცი, ვის ამბობ, უპასუხა შეშინებულმა ქალმა.

— მაშ, არ იცი? რაკი აგრეა, მეც არაფერს გეტყვი.

რა ქარ-ბუქია გარედ! — ნათლიდედ, შემიშვით ოთახში, მიხედო

გავთბე.  
— სახლში არავის უშვებ. კაცო, ლენც! — მიიხედა კუთ-

ისაკენ და დაუძახა.  
— რას მასხარაობ, ნათლიდედ? — სიცილით უთხრა ტყის

მკრელმა: — ლენცი დღეს სახლში არ არის და არც მოვა.

ქალი სასწრაფოდ მიიჭრა ფანჯარასთან.

— იქნება იცი სად არის?  
— ვნახე, — უთხრა მუშამ. — მართალია, ქუდი ჩამოფხატო-  
და თვალებზე, მაგრამ მაინც ვიცანი. ხელები შებაწრული  
ჰქონდა.

დედაკაცმა შეჰკივლა. ტყის მკრელი გზას გაუდგა.  
ყრმა იესოს მაგივრად, მწუხარება ეწვია ტყის ქოხს.

— ახლა დაიძინე, შვილო! — უთხრა დედამ.

მაგდალამ გაკვირვებით შეჰხედა დედას. განა დღეს შო-  
ბის წინა ღამე არ არის? დედაკაცს გული ამოუჯდა სატირ-  
ლად, მაგრამ თავს იმაგრებდა — მხოლოდ ეს მოახერხა შვილის  
დასამშვიდებლად: ბუხარს დაუწყო ბერვა, მაგრამ ცეცხლი  
არ ინთებოდა. ბუხრის ბერვა შეჩერდებოდა თუ არა, ბავშვს  
თითქო ჩუმი ქვითინი მოესმოდა მან კიდევ ჰკითხა  
მამის ამბავი.

— გაჩუმდი, — ნაღვლიანად შეუტია საცოდავმა დედაკაც-  
მა, მაგრამ მალე ისევ დაუტკბა: — მამაშენი ყრმა იესოს ეძებს  
და ალბად, ტყეში გზა დაეზნა.

— იმის პოვნა კი ადვილია, — სთქვა მაგდალამ. — ყრმა იე-  
სოს გული უბრკვევიალებს და თვალები უელვარებს, როგორც  
იაგუნდი.

— რასაკვირველია, — უპასუხა დედამ და შემდეგ კრინტი  
აღარ დასძრა.

ბინდდებოდა. გარედ ქარი გლეჯდა ყველაფერს. ფან-  
ჯრები თოვლით ამოქოლილიყო. „ამაღამდელ წმინდა ღამეს —  
სხვაგან, შორს, არის ისეთი ხალხი, რომელთა შორის სუფევს  
ბრწყინვალეობა და მხიარულება“... გაიფიქრა ლენცის ცოლმა.



ლენცის ცოლმა აანთო წითელი სანთელი. არა მხოლოდ მოჰფენია ოთახს ამ სანთლის მწუხარე შუქი. ენთო მაშინ, როდესაც ლენცის მამა კვდებოდა, ენთო იმ საზარელ ღამეს, როდესაც შოლბერგის უშველებელ ცეცხლის მფრქვეველ მთიდან ამოსკდა ცეცხლი, და წყალიც შფოთავდა თითქმის სახლის ძირში — ანთებენ ტყის ქოხში იმ დღესაც, როდესაც ლენცი და მისი ცოლიც სამუდამოდ დახუჭავენ თვალებს, ამ ქვეყნად ბევრის ტანჯვისა და წამების შემდეგ. ის იყო სიკვდილის სანთელი. ახლაც უნდა ნთებულიყო ეს სანთელი, რადგან დაიღუპა უძველესი მუდმივი მცხოვრები ამ სახლისა — პატიოსნება. დედაკაცმა გაიჩოქა სანთლის წინაში და მხურვალე ლოცვით შეევედრა ყრმა იესოს.

ლოცულობდა გულ-შემუსვრილი, ბედის წინაშე მორჩილებით აღსავსე და არა გაოგნებული, გადარეული, როგორც ვალგემის ცოლი.

— ყრმაო წმინდაო, გვიშველე! ლენცი არ ჩაიდენდა არავითარ ცუდს საქმეს... ხელებ-გაბაწრულია! იქნება სხვის ნადირი მოჰკლა, რომ ჩვენთვის სადღესასწაულოდ საქმელი მოეტანა? მზადა ვარ ავიტანო სიღარიბე, ყოველივე ქირი და შევიწროება, ოღონდ სირცხვილს და პატიოსნების შელახვას გადავრჩე.

კარებში ნელი კაკუნი მოისმა.

ქალმა სასწრაფოდ სანთელს ხელი დაავლო და კარებისკენ გაეშურა მისაგებებლად.

კარებში უცხო ბავშვი შეეფეთა; სრულებით უცნაური ყმაწვილი იყო; გულზედ რალაც უბრჭყვინავდა.

ტანისამოსი თოვლით ჰქონდა მოგუნგლული, თმებზედ ყინულები ეკიდა, დიდრონი თვალები ცრემლებით ავსებოდა. სიცივისაგან კანკალებდა და ბინასა თხოულობდა.

— არავინ გახლავს, — შეჰკვივლა ქალმა, — მარტოდ-მარტო ხარ? შემოდი, შემოდი ჩქარა!

ტანისამოსი გაუბერტყა და თოვლი მოაშორა, მაგრამ



გული მაინც უბრჭყვინავდა. თვალები მოსწმინდა თვალებმა ისე გაანათა ახლა, თითქო იაგუნდები უსხედსო.

მაგდალა თვალს არ აშორებდა, ნამდვილად სასურველი ყრმა იესო ეგონა.

— ჩქარა დაჯექი ბუხართან, გათბები! — ეუბნებოდა გოგონა.

ქალი ჰკითხავდა ბავშვს, როგორ მოალწიე აქამდე, ვინა ხარო?

— ტობალდ გალგეიმი ვარ, — უპასუხა ბოლოს ბავშვმა. — ცხენით დავსეირნობდი; უცებ აფრინდნენ ტყის ქათმები. — ცხენი შეშინდა, დაფრთხა და გადმომავდო. სანამ დაბნელებოდა, ტყეში დავდიოდი. შემდეგ ქარი ამოვარდა, თოვლიც მოვიდა; აღარც არაფერი მესმოდა, აღარც არაფერსა ვხედავდი და უცბად წავიქეცი; შემდეგ, როგორც იყო, გამოვიკვლიე გზა და სინათლე დავინახე. გთხოვთ, ნება მომცეთ, ღამე თქვენს სახლში გავატარო და ცუდი არაფერი დამმართოთ! მამა უსათუოდ მომიძებნის.

ვიდრე ლაპარაკობდა, სულ აკანკალებდა, ისე იყო გაყინულ-გათოშილი. ქალმა ძლივს-ძლიობით გააძრო ფეხსაცმელი, თითქო მიყინული ჰქონდაო, ბავშვი ტკივილებისაგან კვნესოდა. ქალმა თოვლით დაუზილა ხელები და ფეხები, შემდეგ მოუტანა თბილი წვენი და თითონ მიუტანა ტუჩებთან.

მაგდალა ბავშვს გარშემო უვლიდა და ყოველ მხრივ ათვალიერებდა: შესცქეროდა იმის ნახს კულულ თმას, ვარდის ფერ ლოყებს, ბრჭყვიალა გულსა და მოელვარე თვალებსა.

დიასახლისს, სადაც კი ეგულებოდა ბალიშები, ყველა მონახა და კერასთან საწოლი გაუმართა პატარა სტუმარს. ტობალდი დაწვა და მალე თვალები დახუჭა.

შეშინებულს ქალს ცოტა გულზედ მოეშვა.

იმის აზრით, ამ ბავშვის მოულოდნელი მოსვლა შობა ღამეს კარგ რამეს მოასწავებდა. რაკი მაგდალას აღარ ეძინე-



ბოდა, დედას უნდოდა რითიმე გაერთო და მოჰყვა ბურ საშობაო სიმღერების ლილინს. ხშირად შეჩერდებოდა სიმღერის დროს და მძინარე ბავშვის სუნთქვას ყურს უგდებდა; პატარა მაგდალას კი სასოებით ხელები გულზედ დაეწყო და შესტკეროდა მძინარეს...

უცბად ქოხის კედლებთან მოისმა გულის გასაგმირავი ხმა ტყის ბუკისა. ქალს პირში სიტყვა ჩაუწყდა... გარედან ფეხ-ქვეშ თოვლის ხაშა-ხუმის ხმა მოისმა, კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა რამდენიმე კაცი, თავიდან ფეხებამდინ თოვლში გაგუნგლული. მათ შორის მალალი ლამაზი ქალიც იყო.

ლენცის ცოლმა ვედრები შეჰხედა ახალ შემოსულებს. ტუჩებზედ თითი მიიღო და ანიშნა მძინარე ბავშვი. მაგრამ შენიშნა თუ არა ის ბავშვი შემოსულმა ქალმა, სიხარულით მივიარდა.

ბავშვი წამოჯდა, მიიხედ-მოიხედა. როცა თავის თავი და დედაც ამ პატარა საცოდავ ქოხში დაინახა. ტუჩები აუკანკალდა.

მაშინვე შოლბერგზედ დაანთეს დიდი ცეცხლი; ალი მალლა აღიოდა, მისი შუქი შორს ანათებდა, თუმცა ავღარი და ბურუსი იყო.

მდიდარ გალგეიმს თავის დღეში არ ენახა ამისთანა მშვენიერი შობის ხე, როგორც ეს ცეცხლის ბოძი, რომელიც ამცნევდა ყველას, რომ მისი შვილი ცოცხალი იყო.

ყველამ აქ მოიყარა თავი; თავის დღეში პატარა ტყის ქოხს არ ენახა ამდენი სტუმრები და ამისთანა ბედნიერება, როგორც ამ ღამეს.

მდიდარ კაცს სვინიდიის ჰქენჯნიდა.

იმისი შვილი შეაფარა და გაათბო იმ კაცის ოჯახმა, რომელსაც დღეს... ველარ დაათვა თავის აზრი. ცხენოსანი გაგზავნა თავის სასახლეში რკინის კარების გასაღებად.

ჯერ ისევ ქოხში იყვნენ ყველანი, როდესაც ლენცი კარებზედ მოაქანა მშვენიერ ცხენებით შებმულმა მარხილმა.

თენდებოდა კიდეც.

— ამისთანა შემთხვევა ხშირად ხდება დედამიწის ზურგზე, — შეწუხებით უთხრა გალგეიმმა ლენცსა.

— ფიცხი ხასიათის კაცის ხელში ძალა ისეთივე იარაღია, როგორც ბავშვის ხელში დანა. ლენც! მე დამნაშავე ვარ შენ წინაშე! ვხედავ შენს ცოლს და შენს ქალს, ვისთვისაც გინდოდა გაგემართა შობის ხე. მაპატიე! სამივეს გთხოვთ მაპატიოთ! ვეცდები ჩემი დანაშაული მოვინანო.

ლენცს სთხოვა, იმის სასახლეში გადმოსახლებულიყო და ერთი სახლიც შესთავაზა.

ლენცს არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. აბურძღვნილი თავი გაიქნია და უპასუხა:

— სასახლე ჩემთვის ძალიან დიდი იქნება.

— ძალიან დიდი! — გადხარხარეს იქვე მდგომმა კაცებმა. — რას ბოდავ, შე სულელო? სხვა რომ ყოფილიყო შენ ალაგას, გაეხარდებოდა, რომ იმდენი საზრდო ექნებოდა ოჯახის შესანახავად და ადამიანურად იცხოვრებდა.

— მე არ მინდა აქედან წასვლა, — დაღონებით უპასუხა ლენცმა, — სჯობს ნება შომცეთ, ისევ ფისი ვაგროვო ტყეში.

— ფისის გროვება ხომ თქვენც ცოტა შემოსავალს მოგცემთ და ხეებსაც აენებს, — მიუგო გალგეიმმა. მალე განთავისუფლდება ტყის მცველის ადგილი და ის მიიღე; იმისთვის კი, რომ თქვენს შვილებს ყოველთვის ჰქონდეთ შობის ხე — თქვენს საკუთრებად ორს დღიურს შემოგიღობავთ. იმედი მაქვს მაშინ მე და თქვენ შევრიგდებით.


— ახლაც არ გიჯავრდებით, — უპასუხა ლენცმა. მე მხოლოდ ის მინდა, აქვე ჩემ ცოლთანა და ქალთან ხმა-მალღას სთქვათ, რომ სრულებით უდანაშაულოდ დამაპატიმრეთ.

გალგეიმს ორივე ხელებით ეჭირა იმისი მარჯვენა ხელი

— ლენც, შენ პატიოსანი კაცი ხარ!

ასე შევიდა ყრმა იესო მეფისეს ღარიბ ქოხში.

მარიამ დემურია.



## ცრუ-კინტილა ვანო.

(ზღაპარი)



ცხოვრობდა ქვეყნად ერთი ობოლი ბიჭი ვანო. თუმცა ღვიძლი დედა ჰყავდა, მაგრამ საწყალი ვანო მაინც ობლად ჩაითვლებოდა. აი, რათა: ვანოს დედა, დაქვრივების შემდეგ, მეორედ გათხოვდა, მამინაცვალი კი ცუდად ეკიდებოდა ვანოს: სცემდა, ლანძღავდა, არჩევდა თავის ღვიძლ შვილებში. დედაც, ქმრის შიშით, ხმას ვერ იღებდა, ვერ ესარჩლებოდა ვანოს... ცალკე თუ მიუაღერსებდა, თორემ ქმართან ხმას როგორ გასცემდა!

— ეგრე გაანებვიერე, ეგრე! წაისვი თავსა!—იმ წამსვე წასძახებდა.


იმ დროს, როცა მამინაცვლის შვილები თამაშობდნენ, ცელქობდნენ, ან სწავლობდნენ, ვანო თავჩაღუნული ჰგვიდა და სწმენდა კარ-მიდამოს, ოთახს, ან აქეთ-იქით დარბოდა გასაგზავნ-გამოსაგზავნად.

— ვანო! მოიტა ისა, წაიღე—ესა!—წამ და უწუმ ისმოდა შინაურების ჭყვილი. კიდევ კარგი, თუ ლანძღვასაც არ დაატანდნენ თანა! ვაი იმის ბრალი, თუ რამეს გააფუჭებდა, გასტეხავდა უცაბედად!

— ჰაი, შე ხელ-ღამბლავ; შე, ყვეყრო!—შეჭღრიალებდა მამინაცვალი და კისერში მაგრა წაუთაქებდა.



ვანოს ცრემლები მოერეოდა ხოლმე; დედისკენ მიხედობოდა და: მისგან ელოდა შველას, ნუგეშს, მაგრამ დედის თვალები



მუდამ ამას ეუბნებოდა: „მოითმინე, შვილო, მოითმინე!“  
ვანოს გული უფრო იმაზე უკვდებოდა, რომ მამინაცვალი  
არც მის დედას ეკიდებოდა კარგად. აყუია კაცი იყო: თავის



თავისა და ღვიძლ შვილების მეტი, არაინ უყვარდა. ცოლის ისე უტკეროდა, როგორც მოსამსახურეს და შვილების გაძღვლს. ერთ-თავად მისი ღრიალი, ჩხუბი და ყვედრება ისმოდა—ეს ოხერი, ვშრომობ, წილებზე ფეხს ვიდგამ და დაზოგვა კი არა აქვთ! ჭამა—ხეთქვა კი კარგად იციან! თან—ვანოზე მიიშვერდა ხოლმე ხელს—ლამის მეც შემქამოს!—ღმერთმა კი იცოდა, რომ ვანოცა და მისი დედაც ათჯერ მეტს შრომობდნენ, ვიდრე იმათი შენახვა ღირდა.

არა თუ ვანოსთვის, ბევრჯელ ცოლისთვისაც კი შეუხია ხელი მამინაცვალს. რა ცეცხლითა და ალით, რა ბოღმით ივსებოდა მაშინ ვანოს პაწია გული! სახე-ანთებული, მუშტებს მოკუმავდა და თავის პატარა ძალით მზად იყო შებრძოლებოდა უხარ-მახარ მამინაცვალს, მაგრამ დედა ამის ნებასაც არ აძლევდა და თვალებით ეხვეწებოდა—ემანდ შენთვის იყავ, შვილო! თუ გიყვარდე, ხმა არ გასცე!—მაინც ყურ-მოჭრილ ყმასავით შესცქეროდა ქმარს. ვანო გრძნობდა ამ დამცირებას, დაწიხვლას და გული უკვდებოდა დედისთვის.—გაგიყვებით უყვარდა დედა. ბევრჯელ, საბან ქვეშ, წარმოიდგენდა, რომ დედა აღარა ჰყავს და გულ-ამოსკვნით ტიროდა. მამა არ ახსოვდა ვანოს; როცა მოკვდა, ვანო წლისაც არ იყო.

ასე, ამ ჯოჯოხეთში სცხოვრობდა ვანო და შველა არსაიდან ჰქონდა. ბოლოს ვანოს ისე გაუჭირდა საქმე, რომ ერთ ღამეს სახლიდანაც კი გაიპარა. როცა ყველამ მიიძინ-მოიძინა, გასწია უდაბურ ტყისკენ. ბევრისაგან-ბევრი იარა და მიაგნო ერთ მშვენიერ კოშკს; კარები დააკაკუნა და შესძახა—გამიკითხეთ, მიმიღეთო!

ფიცხლავ გაიღო კარები და რა დაინახა ვანომ!? მის წინა სდგას მშვენიერი არსება, ძვირფასად მორთული, ცისფერ კაბითა და ალერსიანად ეუბნება—შემოდი, შვილო, შემოდი, აქ დაისვენე.

მაგრამ როგორ შევიდეს ვანო, სცხვენიან: აკონკილ-

25  
ქართული  
ბიბლიოთეკა





დაკონკილი, ფეხსაცმელებ-დაგლეჯილი, თმა-გაწვეწვნილი იმისთანა ძვირფას კოშკში, თვალ-მარგალიტებით მორთულში. ენა ებმევა, ხმას ვერ იღებს, არც უკან გამობრუნება უნდა საწყალს.

მიუხედა მშვენიერი არსება ვანოს ფიქრებს, ალერსიანად მოჰხვია ხელი და ძალათი შეიყვანა შიგნით.

გადადგა თუ არა ვანომ კოშკის კარებში ფეხი, მაშინვე ძველი ტანისამოსი ახლებად შეეცვალა. სადღაა მისი ძონძები, მოუხეშავი მიხვრა-მოხვრა, დატანჯული სახე?! ვერცხლივით თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი, ღირსეულად, როგორც ტახტის მემკვიდრე, დადის ჩვენი ვანო ყვავილების ფოთლებით მოფენილ იატაკზე და კოშკს ათვალთვობს.—ღმერთო! სამოთხეა ესა თუ სასახლე?! რამდენი ყვავილებაა, რამდენი ხეხილები, ფრინველები! ეს რა გალობა ისმის? რა მშვენიერი, ტკბილად დამბნედი სუნი ტრიალებს! აგერ ანკარა წყაროც მოჩუხჩუხებს... ნაპირზე დგანან: შველი, ირემი, სხვა და სხვა უცხო ნადირნი და შიგ ჩაიკტირებიან... ან რა მშვენიერი სიო უბერავს, რა თბილა! გარედ ყინვაა, აქ—გაზაფხული. ეს რა უცხო მხარეა!

რა კეთილის სახისა არიან აი ის ბავშვები, ვანოსავით თეთრ ტანისამოსში გამოწყობილები, რა ზრდილები, რა თავაზიანები... არა ჰგვანდნენ მამინაცვლის შვილებსა! ერთბაშად კი არ მივარდნენ და თავ-პირი არ აუნთონ ვანოსა!

— მოდი, შვილო, დანაყრდი: ვიცი, გშიან,—ტკბილად ეუბნება მშვენიერი არსება და იწვევს ერთ-ერთ გვებერთელა ხისკენ, რომლის ქვეშაც თეთრ, ქათ-ქათა სუფრაზე ათასნაირი საქმელი აწყვია,—მეტადრე ტკბილეულობა... ღმერთო, რამდენი ტკბილეულობაა!

ვანოს სიხარულისაგან თვალები ენთება, უნდა გაექანოს სუფრისკენ, მაგრამ ამ დროს მამინაცვალი მოაგონდება და შეეკრთება.

— რა იყო, შვილო, რა მოგივიდა?—ნუგეშის ცემის კილოთი ჰკითხავს მშვენიერი არსება.



ვანოს ცრემლები წასკდება თვალთაგან, თავს დასჯობს ნობს მშვენიერ არსებას მხარზე და ყველაფერს უამბობს: როგორ სჩაგრავენენ მამინაცვალი, მისი შვილები... როგორ იტანჯება მისი საცოდავი დედა... თან გადუშლის დასერილ გულს...

მშვენიერი არსება, ცრემლ-მორეული, ნაღვლიანად თავს აქნევს და მალამოს ადებს იარებზე.

ვანო ევედრება—სულ შენთან ვიქნები, ნუ გამაგდებ აქედან, საწყალ დედაჩემსაც აქ მოვიყვანო, მაგრამ მშვენიერი არსება დიდ უარზეა—არა, შვილო,—ტკბილად ეუბნება—დედაშენის მოყვანა აქ არ შეიძლება, აქ ხომ ყველას არ უშვებთ. შენც უნდა გათენებისას წახვიდე, სამუდამოდ აქ დარჩენა არ შეიძლება. როცა გაგიჰირდება, კიდევ შეგიძლიან მოხვიდე.

ეს-ღა რჩება საწყალ ვანოს ნუგეშად.

დაბრუნდა სახლში და უფრო უარესად ეჩვენა იქაურობა, უფრო აუტანელი შეიქმნა მამინაცვლის და მის შვილების აურ-ზაური. მთელი დღე იმას ფიქრობდა: მალე დაბნელდეს, კოშკში გავიქცეო. რამდენადაც სახლში ცუდად ეკიდებოდნენ, იმდენად უფრო მიისწრაფოდა კოშკისკენ. რაც სახლში არა ჰქონდა, იქ ფიანდაზად ეშლებოდა: ნებივრობა, სიფაქიზე, ტკბილი სიტყვა...

ვანომ ვერ მოითმინა და თავის ტოლ-ამხანაგებს უამბო, რასაც კი კოშკში ჰხედავდა. ზოგმა დაუჯერა და თითონაც ნატრობდა კოშკში წასვლას, ზოგმა კი მასხარად აიგდო და ცრუ-პენტელა დაარქვა. საწყალ ვანოს, ამათის წყალობით, გაუვარდა ცრუ-პენტელას სახელი და სახლში და გარედ მოსვენება არა ჰქონდა.

— ერთი, მამაგიცხონდება, გვიამბე: წუხელ რაღა ჰნახე კოშკში?—დაცინვის კილოთი ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან შინაურები, გარეულები, დიდრონები, პატარები... მეტადრე მამინაცვალი უმწარებდა სიცოცხლეს!



— ეს უბედური, — იტყოდა ისა, — რაც კოშკში დაიწყო, უფრო გამოყვეყნდა!

წამოიზარდა ვანო, დაეჟეკაცდა, მაგრამ ღამ-ღამობით კოშკში გაპარვა მაინც არ დაიშალა. ახლა უფრო კარგ რამეებს ჰხედავს იქა და ყოველ დღე უამბობს მთელ სოფელს: რა სისუფთავე და სითბოა კოშკში, რა ბედნიერები არიან იქ მცხოვრებნი, როგორ სამართლიანად ექცევა ყველას მშვენიერი არსება. არავის არ სკივია, არ ჰშიან... ყველანი, თეთრ ტანისამოსში გამოწყობილნი, დიდრონ ხეხილებს ქვეშ დასვირნობენ და სტკბებიან ანგელოზთა გალობით, უცხო ყვავილების სილამაზით, ფრინველების ჭიკჭიკით, ბუნების მშვენიერებით... იქ არ სწყევლიან თავის ბედს, იქ მხოლოდ სიხარულის ცრემლი იციან... იქ დიდი და პატარა არ არის, იქ არ სწიხლავენ ერთმანეთს...

სიამოვნებით უგდებს სოფელი ყურს... რაღაც სინათლე ადგებათ დაღმეკილ, მეტის შრომისაგან, ჭირ-ვარამისაგან დანაოკებულ სახეებს... მეტადრე ჯაფის შემდეგ უყვარდათ ვანოს ყურის გდება... ვანო ამ ნაამბობით თითქო უკანვე უბრუნებდა დახარჯულ ძალას... იმედ-გადაწყვეტილებს სიცოცხლის წყურვილს უღვიძებდა. მაგრამ მათშიაც ერივნენ ისეთნი, რომელთაც ვანოს ნაამბობი სიცილადაც არა ჰყოფნიდათ და ძასხარად იგდებდნენ — ერთი კალთა დასწიეთ მაგ ცრუ-პენტელას! კმარა მაგდენი ტყუილები! გულაში გილაგია თუ რა არი! — გაჰკიოდნენ ეს თომა-ურწმუნონი, დაიწყობდა თუ არა ვანო თავის ამბავს.

მხოლოდ როცა მოკვდა ვანო, — (სახლში აუტანელმა ცხოვრებამ და დედის სიკვდილმა აღრე ჩააწვინა სამარეში) — მაშინ კი ამ ურწმუნოებმაც დაიჯერეს, რომ არა სტყუოდა და მართლაც დადიოდა კოშკში, იცნობდა მშვენიერ არსებას. ისიც აი რად დაიჯერეს: სწორედ იმ დროს, როცა ვანოს კუბო სასაფლაოსთან მიასვენეს და ის ის იყო მიწაში უნდა ჩაეშვათ, ამ დროს გაიხსნა ცა, გამოჩნდა მშვენიერი არსება



და ერთი კალთა ია და ვარდის ფოთლები გადმოაქვს. თორმეტმა ანგელოზმა, რომელნიც უკან მოსდევდნენ მშვენიერ არსებას, გლოვის ნიშნად, ფრთები დახარეს და სირინოზის ხმით გლოვის გალობა სთქვეს. მშვენიერი არსებაც და ანგელოზებიც მხოლოდ მაშინ მოეფარნენ ცას, როცა ვანოს კუბო ხალხმა დიდის მოწიწებით მიწაში ჩაუშვა.

მაშინ კი ურწმუნოებმაც ერთ ხმად შეჰღრიალეს—ვაი, რა დავკარგეთო! ჩვენ კი არ გვჯეროდა, ჩვენ კი დავცინოდით!—და თავ-პირში წაიშინეს. დანარჩენნი კი ჩიოდნენ:

—ვილა იქნება ჩვენის მწარე ღღეების დამატკობელი, ჩვენი გამამხნევებელი, კოშკის ამბავის მომტანი?!—და უნუგემოდ აქეთ-იქით იხედებოდნენ, თან მდულარე ცრემლებსა ჰღვრიდნენ. მამინაცვალიც აქ იყო და ჭიჭინაზე სკდებოდა, რომ არც ჩემსა და არც ჩემ ღვიძლ შვილებს ასეთი პატივი არ ექნებათ არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგაო; თან კი ხალხში ტრაბახობდა—გერი იყო, მაგრამ ღმერთს გეფიცებით, ღვიძლ შვილებზე მეტად მიყვარდაო. მაშინვე ვატყობდი, რა ბიჭიც იყოვო.—ვანოს სიკვდილს შემდეგ, მის სახელით მოჰქონდა თავი.

დაობლდა სოფელი. ჯერ-ჯერობით აღარავინ დადის კოშკში და აღარავის მოაქვს მშვენიერ არსების ამბავი... ვერავინ მიაგნო მის ბინას, ან იქნება თვითონ არავის უშვებს. მხოლოდ ვანოს ნაამბობი ღღესაც ყურში ტკბილად ეწვეთება ერთიდან მეორეს, შვილიდან შვილი-შვილს, თაობიდან თაობას...

ნ. აზიანი.





# გაზაფხული.

(ს ე რ ა თ ი)



## I

ყარო რაკრაკა დუღუნებს:

„ჩემი სამშობლო მხარეო  
ჩუბჩუხით შემოვირბინე,  
მოვრწყე და გავხარეო.

ავაყვავილე მინდორი,  
ავაფერადე მთებია;  
ჩავისრიალებ წალკოტში,  
და ბაღებს მოვედებია!

ყანას სიცოცხლე მივმადლე,  
თავთავი მიხრის თავსაო;  
გლესს მოსავალი მოუვა,  
ასცდება ტანჯვას ავსაო!

ღარობი ლუკმას იშოვის,  
ტანჯული გაიხარებსო  
და მაშინ დიდი — პატარა, —  
ყველა მე შემეყვარებსო!

ამოიფეთქებს ლერწამი  
ამ ლამაზ ნაპირზედაო;  
მწყემსიც სალამურს გამოსჭრის  
და დაამღერებს ზედაო.

ჩემს ცივ წყაროსაც შესვამენ,  
გაუცოცხლდებათ გულიო:  
— ჭირიმე მისი, ჭირიმე,  
მიყვარს მე გაზაფხულიო!“

## II

მერცხალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა:

„მეც მათქმევინე ბარეო;  
 ინლოეთიდან მოვფრინდი,  
 მოვსძებნე ჩემი მხარეო.

გულმა ვერ გასძლო უმისოდ,  
 ცრემლები მრავლად ვღვარეო,  
 მაგრამ რომ ვნახე, დღეს ისევ  
 უზომოდ გავიხარეო.

მოვეყვები ჭიკჭიკს, ფრთხილსა,  
 მივესალმებ ვარდსაო;  
 ვიფრენ ხალისით მთა-ველად,  
 აღარ დავიჩნევ დარდსაო.

ჭირიმე გაზაფხულისა,  
 მან მჩამივლინა შეგებაო;  
 თორემ შორს ყოფნით, ძმობილო,  
 გული მთლად ჩამოდნებაო“.

## III

ბულბულიც აღაპარაკდა:  
 „სიტყვა მეკუთნის მეცაო;  
 თუ-კი მომისმენტ, გაამბობთ,  
 თუ რას მომითხრობს ზეცაო.

ცამ მომანიჭა მგოსნობა,  
 მიწამ—სიმღერის სმენაო;  
 ჩემი გალობა, ჭიკჭიკი  
 ბევრჯელ გსმენიათ თქვენაო.

კვლავაც ვიმღერებ, როს ვარდსა  
 ვიხილავ გაფურჩქენილსაო:  
 გრძნობას ლექსებში ჩავაწნავ,  
 ხმას მივაყოლებ ტკბილსაო!

ვარდის ამოსვლას, გაფურჩქნას  
 კიდევ მოველი მალეო;—  
 გაზაფხულია ასეთი,  
 მის სახელს ვენაცვალეო!“

## IV

ვარდმა-კი თავი ბუჩქიდან  
 ამოჰყო და სთქვა: „მაცაო,  
 სწორედ რიგია—მეც თქვენში  
 გავრიო ჩემი ხმაცაო.

რა-კი რიჟრაჟი მოაწევს  
 და დილა გათენდებაო!  
 მაშინ ამ ბალის შვენება  
 ავ თვალს არ ენახვებაო!

საცა მივსწვდები, სურნელს ვფენ,  
 ვამშვენებ ყველაფერსაო;  
 მოყვარეს მეტად ვახარებ  
 და თვალს უყენებ მტერსაო.

ბუღბუღი ტკბილად მიგალობს,—  
 მე ვარ მის მზე და მთვარეო;  
 მივესალმები წალკოტსა,  
 მიღიმის არე-მარეო.

რა-კი შევყრილვართ ერთადა,  
 არ ვსთქვა, არ მითმენს გულიო:  
 ხელი-ხელ ჩაკიდებითა  
 ვადიდო გაზაფხულიო“.

—  
 ჩუხჩუხა წყარომ, — ანკარამ,  
 მერცხალმა ლამაზ ფრთოსანმა  
 და ვარდმა წითლად გაშლილმა,  
 ბუღბუღმა მისმა მგოსანმა

ერთად ჩააბეს ფერხული,  
ხელში აიღეს ხელადა,  
გაზაფხულს თავი დაუკრეს  
და ის ადიდეს ხელადა!


წყარომ ჩუხჩუხით, რაკრაკით,  
ვარდმა—ფოთლების შრიალით,  
ბუღბუღმა—სტვენა გალობით,  
მერცხალმა—ნაზის ფრთხილით,


სალამი უძღვნეს გაზაფხულს:  
„გზასა გილოცავთ შენაო;  
ჩვენში ვინც აღარ გინდომოს,—  
ის ღმერთმა შეაჩვენაო!“

ზამთრისგან გაწყალებულნი,  
შენგან მოველით შვებასო;  
—ვემორჩილებით სრულიად  
ყოველ შენს სურვილ-ნებასო!“

და გაზაფხულიც მოვიდა,  
ბიბინებს ყანა, ველია;  
ეხლა მთა, ხე, ტყე, ბუნება  
ერთიან სანატრელია!


ლადო გეგეჭკორი.





## ღაღის შურის ძიება.

(აზნაფი ბურების უკანასკნელ ომის დროის).



ამი უშველებელი ურემი მიიზღაზნებოდა ტრანსვალის მინდვრებზე. ეს თვალ-უწვდენელი მინდვრები გადაფენილი იყო საძოვარ ბალახით და მხოლოდ აქა-იქ მოსჩანდა მიმოზას \*) კალები. შორს, ცის კიდურზე მოსჩანდნენ ბურუსში გახვეული მთის მწვერვალები. ეს მთები შესანიშნავი ბუნებრივი სიმაგრეებია ტრანსვა ლისა. უმთავრესი მთაგრეხილიდან ყველა მხარეს გაფანტულია პატარ-პატარა მთა-გორები და მთელი ეს არე-მარე თავის ღელე-ხეობით ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს შემოსეულ მტრის წინააღმდეგ. როცა ბურების ჯარი დაიქანცა და ღონე აღარ შესწევდა ომის წესიერად საწარმოვებლად, მაშინ მთელი იმათი მხედრობა დაიყო პატარ-პატარა რაზმებად და ამ მთებში ჩასაფრდა. მოულოდნელად დაეცემოდნენ სხვა-და სხვა ადგილას მტრის ჯარებს და ერთს აღიაქოთს ასტეხდნენ ხოლმე. ბურებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ასეთი სათარეშო ომი ვაწარმოვოთ სანშობლოს დასაცველად, ვიდრე პირში სული გვედგმისო.

\*) ერთგვარი მცენარეა; ხარობს ბუჩქებად. ფოთლები ჩვენებურ ლობიოს ხეს უგავს. ეს მცენარე შესანიშნავია თავისის გრძნობიერებით, რომელიც გამოიხატება მით, რომ როცა მის ფოთოლს მიუახლოვდება რაიმე საგანი, მცენარე მაშინვე ფოთლებს შეკუმშავს ხოლმე.



ურმები დატვირთული იყო სხვა-და-სხვა საქონლით. წარმოადგენდა მოძრავ სავაჭრო სახლს. შიგ ყველანაირი სანოვაგე და საომარი სურსათი მოიპოვებოდა. ეს უზარ-მაზარი ურმები შესალტული იყო თასმებით. რკინა ვერ უძლებს აქაურ ოღრო-ჩოღრო გზებს და, თუ რკინის ურემი გატყდა გზაში, გამკეთებელს ველარ იშოვნის კაცი ტრიალ მინდვრებში.

ასეთი მოძრავი დუქნები რამდენისამე ნაწილისაგან შესდგება: ურემს გრძელი ლართხები აქვს; წინ მოთავსებულია საცხოვრებელი ბინა დუქნის პატრონისა და მეურმისათვის, უკან გამართულია საქონლის საწყობი და სამზარეულო. ურემს მომხობილი ტილო აქვს გადაფარებული ჩარდახად. საცხოვრებელ განყოფილებაში მოწყობილია თასმის საწოლები. თითო ურემში ჩვეულებრივ 8—10 უღელი ხარი აბა და ერთი მეურმე უზის გრძელის შოლტით ხელში.

ასეთ ურემებს ჩვეულებრივ წინ მიუძღვის ჯორების ჯოგი, რომელსაც მიერეკება მოჯამაგირე ჰოტენტოტი ჰიზოპოტამის ტყავისაგან დაწნულ შოლტით.

ეს სამი სავაჭრო ურემი ეკუთნოდა სარრა ჯემონს. სარრა ჯემონი ყოჩალი და მხნე დედა-კაცი იყო. იცოდა მშვენივრად იარაღის ხმარება და ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაც შეეძლო. სარრა ჯემონის ქმარი, მოხუცი ჯემონი, ამ ეამად ომობდა აღმოსავლეთის საზღვრებზე გენერალ შტეინის ჯარში ჯორჯ უაიტის წინააღმდეგ. ქმრის ომში გასტუმრების შემდეგ სარრას მოუკლეს ოცის წლის ვაჟ-კაცი შვილი. ქალმა გმირულად აიტანა ეს უბედურება და ამის შემდეგ თითონაც გადაწყვიტა რაიმე მონაწილეობა მიეღო ომის წარმოებაში. გამართა სავაჭრო ურემი და უზიდავდა ჯარს სხვა-და-სხვა სურსათს. მისი ურმები სავსე იყო იარაღით, საომარ მასალით და სანოვაგით. ქალი მძიმე შავებში იყო შვილის დაკარგვის შემდეგ და შავი ფიქრები უხუთავდა სულს. დაღვრემილი გაჰყურებდა არე-მარეს. იქ, სადაც დღეს მისი ურმები მიქრიალებდა, გუშინ სასტიკი ბრძოლა იყო. ჰაერში ისევ წამლისა და მძოვრის სუნის ტრიალებდა მოკლულთა გვამებით სავსე გორების თავზედ



ჯერ კიდევ მიწა არ გამშრალიყო. ვეებერთელა მინდორი საფლაოდ იყო გადაქცეული. შორს მოსჩანდა კიდევ ხალხი. იქ იყვნენ მოხუცებულები, ქალები და ბავშვები, რომლებიც კვლავ საფლავებსა სთხრიდნენ დაუძარხავ მიცვალებულთა დასასაფლავებლად. ბურები ყმაწვილობიდანვე ეჩვევიან იარაღის ხმარებას; მუდმივ ნადირობენ და ამიტომ ყველანი მშვენიერადა ხმარობენ იარაღსა. ომში ბური ყოველთვის მიზანში ამოიღებს ხოლმე ჯარის უფროსებს და იშვიათად ააცდენს ტყვიას. ინგლისელები გაჰკვირდნენ, როცა ბურებს უკანასკნელ სისტემის თოფები და უკომლო თოფის წამალი აღმოაჩნდათ. ბურები ყოველთვის მზად არიან საომრად, რადგანაც მეზობლად მცხოვრებნი ხშირად აწუხებენ ხოლმე; მუდმივ საომარ ვარჯიშობაში შეითვისეს საომარი ტაქტიკაც.

ომის ამბები სიცოცხლეს უწამლავდა სარრას: ნეტა რამდენ ხანს გასტანს კიდევ ეს საზარელი ცეცხლიო, ფიქრობს საბრალო ქალი. აქა-იქ ზავსა ლაპარაკობენ, მაგრამ ბიძია „პოლი“ ამ ხმების გაგონებაზედ მხოლოდ მხრებს შეიშმუნის ხოლმე და იტყვის: „ჰო, ზავი კარგია, შეიძლება როგორმე ველირსოთ აღდგომის უქმეებში ან უფრო გვიან“. უკვე არა ერთი დედა სტიროდა დაკარგულ შვილებს, ქმარს, მამას და ძმებს! აი, სამი თვეა მას შემდეგ, რაც იმისი საყვარელი ჯონი შეიპყრეს ინგლისელებმა, სამხედრო ჯაშუშობა დასწამეს და დახვრიტეს. სარრა იმ დროს თითონაც დატყვევებული იყო იმ ფერმაში, რომლის გალავან გარედ, ტყვეობის დროს, დახვრიტეს ჯონი. მან თავის ყურით გაიგონა იმ თოფის ხმა, რომლის ტყვიამაც მის შვილს გული გაუგმირა, დაინახა ჰაერში წამლის კომლი და გამწარებულმა დედამ აღთქმა დასდო შური ეძია, არაფერში არ დაენდო მტერი.

მოსაღამოჟამდა. ახლოს მოსჩანდა სოფელი, ხეხილის ბაღებში ჩამალული. სოფლის ახლო ბურების რაზმს კარვები დაეცა. სარრას ურმები აქ შეჩერდა, ჯარს სურსათი და სანოვაგე მიუტანა და ახლა ფერმისაკენ აპირებდა გამგზავრებას, რომ ღამე იქ გაეთია. ამ დროს მოისმა რაღაცა ხმაურობა.



ცოტა ხანს შემდეგ, დაინახა ბურების ჯარის კაცები, ლეხსაც მოჰყავდათ ხელებ-გაკრული ინგლისელი. ტყვე სულ ახალ-გაზრდა ყმაწვილი იყო—ქერა თმიანი, მტრედის ფერ თვალებით, ამაყად მოაბიჯებდა. მისი თვალები შეუდრეკელ სიმამაცეს გამოხატავდა. ტყვეს სამხედრო ჯაშუშობასა სწამებდნენ; ხმა მალლა იძლეოდა პასუხს:

— მართალია, მინდოდა შემესწავლა თქვენის ბანაკის მდებარეობა. მერე განა ეს დანაშაულია? განა ეს ბუნებრივი საქმე არ არის ომის დროს? განა ჯარის კაცი ყოველთვის მზად არ უნდა იყოს თავი შესწიროს სამშობლოს ინტერესებს? მე ხელთ ჩაგივარდით; ეს ჩემთვის ცუდია; უეჭველია, დამხვრე ტავთ; სამხედრო კანონებით ამის უფლება გაქვთ. მხოლოდ ერთსა გთხოვთ — რაც შეიძლება, ჩქარა მოიყვანეთ სისრულეში სასამართლოს გადაწყვეტილება.

ინგლისელის სიყმაწვილემ, ვაჟ-კაცურმა ქცევამ, მტკიცე ხასიათმა ბურებზე იმოქმედა, სიბრალული გააღვიძა და შეიძლება სიცოცხლე ეჩუქებინათ, რომ ამ დროს სარრას არ დაეწყო ლაპარაკი:

— არა, შებრალება უადგილო იქნება; ჩვენც ისევე უნდა მოვექცეთ ინგლისელებს, როგორც ისინი გვექცევიან. ეგ ინგლისელი ჯაშუშია და უთუოდ სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ეგეც ისე უნდა დავხვრიტოთ, როგორც ჩემი შვილი დავხვრიტეს ინგლისელებმა. ამ სიტყვების შემდეგ, სარრასთან მივიდა რაზმის მოხუცებული უმფროსი და უთხრა:

— მართალი ხარ; ტყვე სიკვდილით უნდა დაისაჯოს. მაგრამ ინგლისელებმა შენს შვილს ერთი ღამე მისცეს, რომ ღონე მოეკრიფა და სიკვდილს მამაცურად მიჰგებებოდა. ჩვენ ინგლისელებზე მეტი უდიერობა არ უნდა გამოვიჩინოთ. ხვალ დილით მოვიყვანთ გადაწყვეტილებას სისრულეში. სარრა დაკმაყოფილდა ამ განაჩენით, მხოლოდ სთხოვა რაზმის უმფროსს, ტყვე ისეთ ალაგას დაამწყვდიეთ, რომ მე შევიძლო მის დარაჯობაო. რაზმის უმფროსმა ეს თხოვნაც შეუსრულა.

დაღამდა; ბრძოლისაგან დაქანცული ტრანსეალის არემარე ღრმა ძიღმა მოიცვა; სარრამ სატუსალოს კარი გააღო და ფეხ-აკრფით შევიდა პატიმარის ოთახში. ყმაწვილს ჩაცმულს



ეძინა ტახტზე. ოთახში სანათის შუქი ოდნავა ბეუტავდა. დე-  
 კანცულ, ღონე-მიხდილს ყმაწილს მაგრად ეძინა. ახლა გმი-  
 რული მეტყველება აღარ ემჩნეოდა სახეზე. აღარ ეტყობოდა  
 მამაცური მღელვარება. ეძინა თმა აბურძღნულს, ოფლიან  
 შუბლზე რამდენიმე ბეწვი მიჰკროდა, ძარღვები დაჰბეროდა  
 და მაჯა ღონივრად უტემდა. ხელები უკანა ჰქონდა გადაყრი-  
 ლი, თითქოს სიზმარშია და ვილასაც იგერებსო. სარრას პირ-  
 ველ წამებში სიბრაზის აღმურმა გადაჰკრა სახეზე: „ესეც ოცის  
 წლისაა; ჩემი ჯონიც ოცის წლისა იყო. ესეც ისევე იტანჯება“,  
 გაურბინა თავში ფიქრმა სარრას შემდეგ. ამ დროს მძინარემ  
 საშინლად დაიგმინა. — „ძილში ცუდი რაღაცა მოეჩვენა! გმი-  
 ნავს; უეჭველია, ჩემი ჯონიც ასეთსავე ტანჯვაში იქმნებოდა  
 სიკვდილის წინად!“ სარრა დაიხარა და მძინარეს სახეზედ დაამ-  
 ტერდა. მძინარემ მიტეტკილი ტუჩები შეანძრია და მოისმა:

„დედა, დედა!“

სარრას არა ერთხელ გაუგონია თავის შვილისაგან ეს  
 სიტყვები, ასეთივე ნაზი, ალერსიანი და სიყვარულის კილოთი  
 წარმოთქმული.

საბრალო დედას მუხლთ მოეკვეთა; მწუხარებამა და სიბ-  
 რალულმა შეიპყრო მთლად მისი არსება. ხელების მტვრევით  
 და თრთოლით ისმენდა ამ მშობლიურ გრძნობის აღმძვრელ  
 სიტყვებს. სარრას თვალ-წინ წარმოუდგა სურათი, როგორ  
 გამოიყვანენ ხვალ ამ სიცოცხლით სავსე ახალ-გაზრდას დასას-  
 ჯელად. უფრო ცოცხლად წარმოუდგა ტანჯვა ინგლისე-  
 ლის დედისა, რომელსაც ამ ჟამად უეჭველია შორს, ცხრა  
 მთას იქით, გული უკვნესის და ჰგრძნობს შვილის განსაცდელ-  
 საო. სარრა მძლავრად შეიპყრო დედა-შვილურმა გრძნობამ  
 და თვალთაგან ცრემლი გადმოსკდა. ქალი კიდევ მიუახლოვდა  
 მძინარეს და ოდნავ ხელი შეახო შუბლზე, გამოაღვიძა და  
 ანიშნა ამდგარიყო და უკან გაჰყოლოდა. გაცოცხლებული ინგლი-  
 სელი სარრამ გალავანს გარედ გამოიყვანა და უთხრა:

— შვილო, შენ ამოდ არ მოუწოდებდი ძილში დედას!  
 აი გზა, გასწი, — თავისუფალი ხარ!


მ. კლიზიაშვილი.



მ. შახინაძე

## ტარას შევენკო.

დიდი პოეტი უკრაინისა.



უკრაინა არის ერთი ნაწილი დასავლეთ რუსეთისა. უკრაინას უწოდებენ ასეთს სახელს თვითონ უკრაინელები; რუსები კი მალოროსიას უძახიან.

უკრაინა წინა საუკუნოებში ცალკე სამფლობელოს, ცალკე სამთავროს შეადგენდა, სწორედ ისე, როგორც გურია და სამეგრელო ცალკე სამთავროები იყვნენ დრო გამოშვებით. ძველს დროში, დამოუკიდებლობის

ჟამს, უკრაინას ერქვა არა სამთავრო, არამედ

საგეტმანო, რადგანაც მისი მბრძანებლის ტიტული, სახელი იყო გეტმანი.

უკრაინის დამორჩილება უნდოდა სამხრეთის მხრივ ოსმალეთსა, დასავლეთის მხრივ პოლონეთსა და აღმოსავლეთის მხრივ რუსეთსა. უკრაინელები მამაცი, ნიჭიერი და მაგარი ხალხი იყო, შეუპოვრად ებრძოდნენ თავის მტრებსა და მრავალის საუკუნუოების განმავლობაში დაიცვეს თავისი დამოუკიდებლობა, თვით-მდგომარეობა, თავისუფლება. მაგრამ დაუსრულებელმა ბრძოლამ ეს ჩინებული ერი დაღალა, დაქანცა და იძულებული გახდა შეერთებოდა ერთმორწმუნე რუსეთსა, სწორედ ისე, როგორც დაქანცულმა საქართველომ მიიღო ქვეშევრდომობა რუსეთისა. მხოლოდ უკრაინის შეერთება რუსეთთან მოხდა ერთი საუკუნით უფრო ადრე, ვიდრე საქართველოსი.

რუსეთთან შეერთებამ უკრაინას მიანიჭა ერთი სიკეთე: იხსნა ოსმალების და პოლონელების თავდასხმისაგან. მაგრამ შინაური განწყობილება და ურთიერთობა უკრაინელ წოდებათა შორის კი გაუარესდა. წინად, დამოუკიდებლობის დროს, აქაური გლეხები მუდამ შეიარაღებულნი იყვნენ, იარაღის ხმარებაში გაწვრთნილნი, ომში გამოცდილნი და გაფოლადებულნი. ამიტომ, მათი ბატონები, მიწა წყლის მესაკუთრენი, ვერ ავიწროებდნენ, ხათრიანად ექცეოდნენ, ბევრს არაფერს თხოულობდნენ მათგან. ასე, რომ გარეგანს სიმწარეს შინაგანი სიტკბოება აქარწყლებდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ უკრაინელი გლეხები გადაეჩვივნენ თოფ-იარაღის ხმარებასა, რადგანაც მათი სამშობლოს დაცვა გარეშე მტრებისაგან იკისრა რუსეთის მუდმივმა ჯარმა. ამითი ისარგებლეს მებატონეებმა და ბევრად მეტი მოსთხოვეს თავისს ყმებსა, ვიდრე წინად სთხოვდნენ...

წინად, სრული თავისუფლების დროსა, უკრაინაში გამეფებული იყო ადგილობრივი ენა სკოლაშიაც და ყველა დაწესებულებაში. რუსეთთან შეერთების შემდეგ გაბატონდა

ყველგან რუსული ენა და ყოველივე უფლება ჩამოერთვა უკრაინულს ენასა.

ამ ორმა ცვლილებამ მეტად შეავიწროვა და ნალვლით აავსო ხალხი. ეს ცვლილება მოხდა არა უეცრივ, არა ერთბაშად, არამედ თანდათან, შეპარებით.

როცა ეს ცვლილება დამთავრდა და მძვინვარება იწყო მთელი თავისი ძალით, სწორედ იმ დროს 1814 წ. დაიბადა ტარას შევჩენკო. იგი იყო მოყმე გლეხის შვილი და მონობაში იხილა დღის სინათლე. მებატონე თურმე ბოროტი ადამიანი იყო და შევჩენკოს დედ-მამას უკიდურესად ავიწროებდა. ეს შევიწროება მან გაასამკვეცა თვით პატარა ტარასის შესახებ, როდესაც ეს მეტად ნიჭიერი ბავშვი ქკუაში ჩავარდა და ბატონმა იგრძნო, რომ ამ ბავშვში იზრდება ჩემი ბატონობის მტერი. ბავშვის ტანჯვა-წვალებას ბატონის მიერ საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ ამ ბავშვმა, მიუხედავად ყოველ-გვარის დაბრკოლებისა, თავის-თავად წიგნიც კარგად შეისწავლა და ხატვაშიაც საოცარი ნიჭი გამოიჩინა. ერთმა განათლებულმა უკრაინელმა შემთხვევით გაიცნო ეს ბავშვი, აღტაცებაში მოვიდა მისი წიგნის ცოდნით და მეტადრე ნახატებით და იმ აზრზე დადგა, რომ ამ ბავშვისაგან გამოვა ფრიად სასარგებლო მოღვაწე თავისი ქვეყნისათვისო. ამის გამო მან ინახულა მისი მებატონე, დიდი ფული მისცა, დაიხსნა ტარასი ყმობისაგან და სრული თავისუფლება მიანიჭა. ამითიც არ დაკმაყოფილდა ეს მაღლიანი ადამიანი. ყმაწვილი ტარასი წაიყვანა პეტერბურგში და იქ მისცა თავის ხარჯით სასწავლებლად სამხატრო აკადემიაში. აქ ტარასიმ არამც თუ ჩინებულად შეისწავლა ხატვა და მრავალი შესანიშნავი სურათი შექმნა, არამედ ზედმიწევნით გაიცნო და შეითვისა საუკეთესო რუსული წიგნები და თხუზულებანი, დაუახლოვდა სახელოვანს რუსულს მწერლებსა, მოექცა მათ მახლობელს ნაცნობებში და გახდა განათლებულ ადამიანად. ამის შემდეგ მან შექმნა ბევრი, ძალიან ბევრი ლექსი და პოემა უკრაინულს ენაზე და მთელი თავისი სამშობლო აღ-



ტაცებაში მოიყვანა. აღტაცებაშივე მოვიდნენ თვით რუსეთის საუკეთესო მწერლები და პოეტები. აღიარეს იგი დიდ პოეტად, ბევრი მისი ნაწარმოები გადათარგმნეს რუსულად და გამოცემეს ცალკე წიგნებად. ტარასის ლექსები და პოემები გადათარგმნილ იქმნა აგრეთვე ფრანგულს, ნემენცურს, ინგლისურს და სხვა ენებზე.

მაგრამ ტარასი ამითი არ დაკმაყოფილდა. იმან მოიწადინა გაუქმება ბატონ-ყმობისა თავისს სამშობლოში და აღდგენა უკრაინულის ენის უფლებისა, და ამ წადილით გამსჭვალულმა შექმნა საიდუმლო საზოგადოება, რომლის წევრებად გახდნენ საუკეთესო მსწავლულნი უკრაინისანი. მთავრობამ ეს შეუტყო და დასასჯელად ყველა წევრები ამ საზოგადოებისა აქეთ-იქით გაგზავნ-გამოგზავნა. ტარასი გაგზავნილ იქმნა მიყრუებულ ადგილს შუა აზიაში და ამასთან სასტიკად აღეკრძალა წერაც და ხატვაც, და ამის გამო იგი წვალეხასა და ტანჯვაში იყო დიდს ხანსა. მთელი ათი წელიწადი დაჰყო ამ სატუსალოში, და როცა, ვადის გასვლის შემდეგ, იგი დაბრუნდა პეტერბურგში, მთლად გათეთრებული იყო და ღრმად მოხუცებულს ჰგავდა, თუმცა სულ ორმოც-და-შვიდის წლისა იყო იმ დროსა.


პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ტარასს ანუგეშებდა და უზომოდ ახარებდა ერთი ამბავი: ყმების განთავისუფლება ხელმწიფეს გადაწყვეტილი აქვსო. მოუთმენლად მოელოდა ამ უბედნიერესს დღესა; მაგრამ ვერ კი ეღირსა. იგი გარდაიცვალა ბატონ-ყმობის გადავარდნის გამოცხადების წინ. მისი გვამი წაასვენეს მის საყვარელს უკრაინაში და დაკრძალეს მდინარე დნეპრის ნაპირს მალლობ ადგილზე, ნიშნად იმისა, რომ იგი იყო მალალ-ნიჭიერი და უსრულესი შვილი თავისი ქვეყნისა. თაყვანის საცემლად ამ საფლავთან ყოველ წლივ დაიარება აუარებელი უკრაინელი, რათა საფლავში ჩასძახოს თავისი უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული თავისს დაუვიწყარს ტარასსა.

ამას წინად (26 თებერვალს) მთელმა უკრაინამ უსაზღვროდ სიმწუხარით და სიყვარულით გადაიხადა ორმოც-და-ათის წლის იუბილელი შვეჩენკოს სიკვდილის დღიდგან. შვეჩენკომ ასეთი სამაგალითო სიყვარული მთელის სამშობლოსი დაიმსახურა იმითი, რომ უსაზღვროდ უყვარდა თავისი ბედკრული ქვეყანა, მისი ბუნება, მისი ენა, მისი მდიდარი სახალხო პოეზია და უმეტესად კი უკრაინელი გლეხობა, ბურჯი ეროვნულის არსებობისა, სიცოცხლისა, განვითარებისა და აყვავებისა. ამ ძლიერმა სიყვარულმა შეაქმნევინა მას დედა ენაზე მრავალი ჩინებული ლექსი და პოემა, რომელნიც ასულდგმულებენ, ამხნევენ, აღაფრთოვანებენ მშობლებსაც და შვილებსაც, დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც და უმზადებენ ნათელს მომავალსა.

უკვდავ შვეჩენკოზე ზედ გამოქრილია უნიკიერესი ქართველის მგოსნის შემდეგი მშვენიერი ლექსი:

კაცი ის არის, ვინც არის  
 ზეგარდმო მადლით ცხებული,  
 მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ,  
 მით მხარე დამშვენებული.

იაკობ გოგებაშვილი.





# ანდერძი.


(შეფხენკადან)




ოდესაც მოვკვდე, დამმარხეთ,  
ჩემ უკრაინის მხარეში;  
ვრცელ მინდორ შუა, საყვარელ  
მშობლიურ არე მარეში.

იქ გამითხარეთ საფლავი,  
სადაც დნებრია მტირალი:  
რომ, კვლავ მოვავლო სამშობლოს  
თვალნი მწუხარედ მზირალი.

გ. ქუჩიშვილი.





# ნაწყვეტი.

(თავისუფალი თარგმანი შევჩენკოვან).


ღნებრი უსაზღვრო ჰდელავს, ღრიალებს,  
მკაცრი გრივალი დაჰქრის, გრიალებს;  
ცად ატყორცნილი ნორჩი შტო ბზისა  
თავსა ჰხრის დაბლა, კენესით შრიალებს!

ამ ღროს მიმქრალი ზეცის გუშაგი —  
მთვარე შუქს აფრქვევს, თან იბურება  
და, როგორც ნავი ლურჯ ზღვის ტალღებში,  
ხან ზედ დასცურავს, ხან იძირება!

დიდიხანია არავის ღვიძავს,  
არა ხმაურობს ადამიანი;  
მხოლოდ ქოტისა ისმის ძახილი,  
გულის მომკვლელი და სევდიანი.

ა. შანშიაშვილი.





## ჩაის მცენარე.



აის მცენარე ბუჩქად იზრდება (სურ. 1) და ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთლებით არის შემოსილი.

ჩაის სამშობლოდ ითვლება მთა-გორიანი ადგილები, რომლებიც ჰყოფენ ჩინეთისა და ინდოეთის ველებს ერთი მეორისაგან. ჩაის უხსოვარ დროიდან, თითქმის 2700 წ.

წინად ქრისტეს დაბადებამდე, აშენებდნენ ჩინეთში; იქიდან, ათასის წლის წინად, გადიტანეს იაპონიაში. იაპონიიდან თესლი გადვიდა ინდოეთში, მაგრამ იმავე დროს იქ იპოვნეს ასსამის პროვინციის ტყეებში გარეული ჩაის ბუჩქები, დაიწყეს მის თესლის გროვება ინდოელებმა და გააშენეს პლანტაციები.



სურათი 1.

მთელს ინდოეთს საშინელოს სისწრაფით მოეფინა ჩაის პლანტაციები; აქედან თესლი გადატანილ იქმნა კუნძულ ცეილონზე,

სადაც ჩაის გაშენებისა და დამზადების საქმე უმაღლეს ხარისხშია აღწერილია და აღწერილია.

ამ ჩაის ჯიშს ასსამის ჩაის უწოდებენ; ხეთ იზრდება, ფოთლები აქვს უფრო დიდი, ვიდრე ჩინურსა, ესაჭიროება უფრო ცხელი ჰავა: თოვლისა და ყინვისაგან ადვილად იზარება. ჩინურ ჩაის ჯიშში კი უფრო ბუჩქად იზრდება, გამძლეა, სიცივეს ადვილად იტანს ( $-10^{\circ}$  ცელსიუსის), მაგრამ კი არ ხარობს იქ, სადაც მთელს ზამთარს თოვლი სძევს; სწორედ ამისთვის ეს ჯიშში ჩვენის ქვეყნისთვის უფრო გამოსადეგი და შესაფერია, ვიდრე ასსამის ბუჩქი.

ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ჩაის გაშენება სცადეს 40—50 წლის წინად (ეხლაც არსებობს ქ. სუხუმში ის ძველი ბუჩქი), მაგრამ ჩაის პლანტაციების გაშენება კი ამ ბოლოს ხანს დაიწყო. 1886 წ. პირველად სოლოვცოვმა გააშენა ჩაის პლანტაცია ჩაქეში, ბათუმს ახლო, შემდეგ მეორე მემამულემ **პოპოვმა**, რომლის ჩაი ცნობილია რუსეთის ბაზარზე. ახლა კი ჩაქეში თითქმის 300 დესეტინა უჭირავს ჩაის პლანტაციებს; უპირველესი ადგილი მათ შორის ეკუთვნის საუფლისწულო პლანტაციას, სადაც მშვენივრად მოწყობილი ქარხანა მუშაობს. ეს მეთერთმეტე წელიწადია, რაც გურიაში დაიწყო ჩაის გაშენება; პირველად კერძო მემამულეებმა; შემდეგ ოზურგეთში საცდელი პლანტაცია გაშენდა, სადაც ახლა უკვე მზადდება რამდენიმე ფუთი ჩაი ყოველ წლივ. ამ პლანტაციის აზრი ის არის, რომ ხალხში გავრცელდეს ამ ფრიად სასარგებლო მცენარის მოვლა-გაშენება.

ჩაის ბუჩქი ჰყვავის გვიან შემოდგომაზე (ოქტომბერში); ყვავილი აქვს პატარა, თეთრი, სასიამოვნო ნაზის სუნისა. (სურათი № 2) ეს ყვავილები შემდეგ




სურათი № 2.



ნაყოფებად—პარკებად იქცევა ხოლმე; თითოეულ პარკში <sup>ერთსადაც</sup> თესლია; თესლი მომრგვალოა, სიდიდით თხილის ოდენაა, ნაქუტი აქვს თხელი, მიხაკის ფერი-  
სა, გული—თეთრი, მომ-  
წარო გემოსი. (სურ. № 3)

უსაქიროესი პირობა ჩაის მცენარის ხარებისათვის არის წვიმების სიხშირე; მშრალი და ცხელი ქარი დიდი მახარალებელია. ყველაზე უფრო შესაფერი ადგილი ჩაის მცენარის



სურათი № 3.

გასაშენებლად სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთი ნაწილია ოზურგეთის მაზრისა და დასავლეთი ნაწილი ზუგდიდის მაზრისა—საზოგადოდ კი—მყუდრო და დაცული ზეგნები გურია-სამეგრელოს დასავლეთის ნაწილისა.

რაც შეეხება ნიადაგს, ჩაის მცენარე მიზეზიანი არ არის; კარგად ხარობს წითელ ანუ მოყვითალო მიწაზე, რომელსაც გურიაში „ეწერს“ ეძახიან; იქ თითქმის არც ერთი პურის მცენარე არ ვარგობს; უმეტეს შემთხვევაში იქ ხარობს, სადაც გვიმბრა იზრდება.

ჩაი ყოველთვის თესლით შენდება. თესლს აგროვებენ შემოდგომაზე, სთესენ, თუ მოასწრეს და მიწა კარგი მომზადებული აქვთ, შემოდგომაზედვე, თუ ვერ მოასწრეს, თესლს ინახვენ გაზაფხულამდე და მაშინ სთესვენ დამზადებულ კვლებში რიგ-რიგად. ერთის წლის ნერგი გადააქვთ სანერგედან სამუდამო ადგილს პლანტაციას. პირველ წელიწადს პლანტაციას ხშირად სთოხნიან, რათა ბალახი არ მოერიოს და არ დაჩაგროს ნაზი ნერგი. მეორე წლის გასულს, ბუჩქს სხლავენ, რათა დაადაბლონ, გააგანიერონ, რომ უფრო მეტი მოსავალი მისცეს მცენარემ. ოთხის წლის ბუჩქი იმდენად ღონიერია, რომ შეიძლება დაიკრიფოს ცოტაოდენი ფურცელი. 5—6 წლის ბუჩქი კი იძლევა სრულ მოსავალს.

ახლა იწყება ჩაის დამზადება. დამზადება ასე სწავლობეს:

1. ფურცლის კრეფა.
2. დაღობვა ანუ დაქცნობა.
3. დაგორება.
4. დადუღება.
5. განმობა მზეზე.
6. განმობა ცეცხლზე.



### კ რ ე ფ ა .

ჩაის ჰკრეფენ ზაფხულის განმავლობაში სამჯერ: მაისში, მკათათვეში და მარიაშობისთვის დამღევს.

დიდის სიხარულით ელიან გურული პატარა გოგო-ბიჭები ჩაის კრეფას ოზურგეთის საცდელ პლანტაციებზე. იციან



რომ მათი პატარა მარდი ხელები ახლა საჭიროა, რომელთაგანაც  
 ტებენ სახლს თითო-ორი გროსი, რომელიც ასე საჭიროა  
 ღარიბ გერულის ოჯახისათვის.

აი კიდევ დადგა კრეფის დღე. 12—13 წლის ბავშვები  
 გროვდებიან პლანტაციაზე; ურიგებენ სუფთა კალათებს, რომელიც  
 ინახება საკუთრივ ჩაისათვის და სხვა რამისათვის არ  
 იხმარება. მეზღვე აყენებს თითო რიგზე თითო ბავშვს, ბავშვი  
 უნდა გაჰყვეს ამ რიგს, სანამ ყველა ბუჩქს არ დაჰკრეფს.



სურათი № 4.

ნორჩი ყლორტი

ბავშვები სწყვეტენ ნორჩ ყლორტების წვეროებს, დუყს; (ს. № 4)



დუყი ნორჩი წვნიანი მწვანე ღეროა ზევითა კვირტითა მელიც შემოსილია ვერცხლის ფერ ქინკლებით და რამდენსამე (2—3) ნორჩ ფოთლით ღერზე. დაკრეფილ ფოთლებს ჰყრიან კალათებში. უნდა გაყურებინათ, როგორ გაფაციცებით ჰკრეფენ პატარა მუშები, ჩქარობენ, რაც შეიძლება, მეტი შეაგროვონ, რადგან მუშაობენ ნარდად, ესე იგი რამდენ გირვანქა ფოთოლსაც დაჰკრეფენ, იმდენს 3—4 კაპ. იღებენ დღეში. ძრიელ ფრთხილად კრეფენ, რომ ბუჩქებზე დაუკრეფელი დუყები არ დასტოვონ.

სავსე კალათები მოაქვთ ჯერ სასწოროთან, სადაც ჩაი იწონება.

### დაღრობა—დაჭკნობა.

მოკრეფილ ფოთლებს გაჰყვნიან თხლად თაროებზე, რომელზედაც არის გაშლილი ქილოფი ან ტილოა გაკრული. ის ადგილი, სადაც ჩაი ჰყნება, უნდა იყოს დაცული ქარისაგან, რათა ქარმა დაჭკნობამდის არ გაახმოს ფოთოლი. აქ ჩაი რჩება ერთი დღე და ღამე.

თუ გინდა გაიგო, ჩაი ზომიერად დამჰკნარია, თუ არა, უნდა აიღო ბლომად ხელში, მოუჭირო ღონიერად ხელი, თუ ჩაის ფოთლებს ტკაცუნნი არ გააქვს, ან და როცა ხელს გაშლით, ფოთლები არ გაიშლება ცალ-ცალკე, არამედ ერთ გროვად ხელის გულზე რჩება, მაშინ ჩაი საკმაოდ დამჰკნარია; მეტი ჰყნობა არ არგებს.

### დაგორება.

ამ ნაირად დამჰკნარი ჩაი უნდა დაგორდეს ისე, რომ არც ერთი ფოთოლი გაშლილი არ უნდა დარჩეს; ამასთანავე იმდენი წვენი უნდა გამოუვიდეს ფოთლებს, რომ ძალზე დასველდნენ. აგორებენ ასე: თუ ჩაის ფურცელი ცოტა არის, პირდაპირ ხელით აგორებენ მუშები გრძელ მაგიდებზე. თუ ბლომად არის, მაშინ ჰყრიან ნარმის ტომრებში, მოუკრავენ თავს და მუშა სუფთა ფეხებით აგორებს ამ ტომრებს ქილობ-



ზე, რომელიც გაფენილია ოთახში იატაკზე. აგორებს ხმდენს ხანს, სანამ ყველა ფოთლები არ დაგორდება და წვენი არ დასველდება. შემდეგ ამისა იწყება ჩაის დადუღება.

დაგორებულ ჩაის ჰყრიან დიდ გობებზე, ან ხის ყუთებში, დააფარებენ სველ ტილოს და სტოვებენ ამ გვარად 4—7 საათამდე. აქ დულს ჩაი სწორედ ისე, როგორც ღვინო ქვევრში. ამ დროს განმავლობაში ჩაის ფურცელი ჰკარგავს თავის მწვანე ფერს, იღებს ჟანგის ფერს და ჩაის განსხვავებულ სუნს.

### გახმობა მზეზედ.

საკმაოდ დადუღებული ჩაი საჩქაროდ მზეზე გააქვთ, ჰყრიან ქილოფზე ან ტილოზე, რომელიც ხის ჩარჩოებზეა გაკრული. მზეზე ჩაი ხმება 2—3 დღეს. თუმცა ჩაი ამ დროს განმავლობაში შეხედულობით საკმაოდ გამხმარია, მაგრამ სასმელად არ ვარგა ჯერ, რადგან გემო მომწარო აქვს და სუნიც უსიამოვნო ნედლის ბალახისა დაჰკრავს. ჩაი ხელ მეორედ უნდა გახმეს ცეცხლზე.

### გახმობა ცეცხლზედ.

ბევრ ნაირად ახმობენ ჩაის ცეცხლზედ; აქვთ აშენებული სხვა და სხვა ნაირი ლუმელები, მაგრამ ყველაზე უფრო უბრალოდ და ადვილად ჩინელები ახმობენ ამ ნაირად: ხმარობენ ერთგვარ კალათებს; ეს კალათები დაწულია მილის გვარად, ორივე მხრივ თავლიაა, შუაში-კი ცოტა მოვიწროებულია. ამ ვიწრო ყელში სდგამენ დაწულ ფირფიტას, რომელზედაც ჰყრიან გასახმობელ ჩაის. ეს კალათი შეიძლება გაკეთდეს თუნუქისა, რომელიც უფრო ადვილი მოსახმარია. ჩინეთში ამ კალათს დასდგამენ ორმოზე, რომელიც სავსეა გაღვიებული ხის ნახშირით, გურიაში კი კალათს ქვეშ სდგამენ დიდ ქვის კეცს, სწორედ იმ კეცს, რომელზედაც გურული იცხობს მქადს, კეცზე ჰყრის ნაკვერჩხალს და მშვენივრად ახმობს თავის ჩაის. ამ დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე, რომ ჩაი არ დაიწვას, ზომიერად გახმეს...

ასე გამხმარი ჩაი მზად არის სახმარებლად. ეხლა ჩაი  
 დე სიტყვა „ყვავილოვან“ ჩაიზე, რომელსაც ყვავილის  
 ჩაი ეწოდება და ძრიელ ძვირად ფასობს. არ გეგონოთ, რომ  
 ამ ჯიშის ჩაი მართლა ყვავილებისა მზადდებოდეს; სრულია-  
 დაც არა. იგივე ჩაის ფურცლებია, მხოლოდ ჯერ გაუშლე-  
 ლი, კვირტში მყოფი. ამ ჯიშის ჩაი ძრიელ ნაზი სუნისა და  
 გემოსი არის; ძვირად მისთვის ფასობს, რომ კვირტებისაგან  
 მზადდება და ბევრი დამზადდება განა კვირტებისაგან?.

გამხმარი ჩაი უნდა გადირჩეს სამ გვარად ანუ ხარისხად.  
 ეს გადარჩევა სწარმოებს ამ ნაირად. მთლად გამხმარი ჩაი  
 უნდა გაიცრას მსხვილ საცერში. მანამ უნდა სცრა, სანამ  
 მარტო დიდი მსხვილი ფურცლები არ დარჩება. ეს საცერზე  
 დარჩენილი ჩაი შეადგენს უკანასკნელ ღირსების ჩაის—იფ  
 ფასიანს.

საცერში გასული ჩაი ხელ ახლა უნდა გაიცრას ძალიან  
 წმინდა საცერში. საცერში გადის მტვერი, საცერზე კი რჩება  
 საუკეთესო ჯიშის ჩაი, რომელშიაც ბლომად არის ნორჩი  
 ფურცლები და კვირტები. აი ეს ჩაია საუკეთესო ჩაი.

ასე და ამ გვარად, ეს ათი წელიწადია, რაც გურიაში  
 ამზადებენ ჩაის; იქ ბევრს გლახს თავის პატარა ეზოში აქვს  
 რამდენიმე ჩაის ბუჩქი, რომელსაც მშვენივრად უვლის, თავის  
 დროზე სხლავს, ჰკრეფს და ამზადებს ჩაის მეტს, ვიდრე თვი-  
 თონ სჭირდება. მთელ გურიაში ითვლება 20 დესეტინამდე  
 ჩაის პლანტაციები; სამეგრელოში ჯერ 2 დესეტინამდეა.

ასე უხვადაა დაჯილდოვებული ჩვენი მშვენიერი სამშობ-  
 ლოს ბუნება! ასეთი ნაზი მცენარეც-კი, როგორიც არის ჩაი,  
 მშვენივრად ხარობს ჩვენში. და არ გაივლის 20—30 წელი-  
 წადი, რომ ჩვენებური ჩაი მეტოქეობას გაუწევს ჩინურ ჩაის.

**ივლიტა ნაკაშიძე.**



# ქ ი მ ი ა.

(შემდეგია)

ზოგადნი ცნობანი.




**ანსხვავება ქიმიასა და ფიზიკას შორის.**

რასაკვირველია, გეხსომებათ, რა განსხვავებაა ქიმიურ და ფიზიკურ ცდათა შორის. ფიზიკაში სხვა და სხვა ნივთიერებას ვსწავლობდით. ცდის დროს ეს ნივთიერებანი იცვლებოდა, მაგრამ როდესაც ცდა თავდებოდა, ნივთიერებას ისევ თავის სახე უბრუნდებოდა. მაგ.: წყალს ორთქლად ვაქცევდით, ორთქლი იკუმშებოდა და ისევ წყლად იქცეოდა; ლაქას გავაელექტრონებდით, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ჰკარგავდა ამ ძალას და ისევ უბრალო ლაქად იქცეოდა. ერთის სიტყვით, თვით ნივთიერება კი არ იცვლებოდა, იცვლებოდა მხოლოდ მისი მდგომარეობა. ქიმიურ ცდის დროს კი სულ სხვასა ვხედავთ ამ ცდის დროს თვითონ ნივთიერება იცვლება, ისე რომ ცდის შემდეგ სულ სხვა ნივთიერება გვჩნება ხელში. აი, მაგალითად, გოგირდის ასანთის თავების ანაფხეკი. როგორც ჰხედავთ, გოგირდი მაგარი ნივთიერებაა, ყვითელის ფერისა და თითქმის უსუნო. ეხლა გოგირდს უკიდებ ცეცხლს, გოგირდი ინთება და, ცოტა ხნის შემდეგ, სრულიად ჰქრება. ახლო რომ მიხვიდეთ, იგრძნობთ სუნს, რომელიც ყელსა და გულს დაგწვამთ და ხველას მოგგვრით. გოგირდის მაგივრად, რაღაც ახალი ნივთიერება მივიდეთ, უფერო, სუნიანი, ჰაერ-



გვარი, რომელშიაც, უეჭველია, იმყოფება გამჭრალი გოგირდი. ამ ჰაერგვარს ეძახიან გოგირდის გაზს, ანუ გოგირდის სიმჟავეს. თუმცა სახელად გოგირდის გაზი ეწოდება, მაგრამ მარტო გოგირდიდან არ შესდგება, შიგ არის ერთი სხვა ნივთიერებაც, რომელიც იმყოფება ჰაერში და რომელსაც შეუერთდა გოგირდი. მაშ, უნდა დავხსოვოთ, რომ გოგირდის და ჰაერში მყოფ ნივთიერების შეერთებით წარმოსდგა გოგირდის გაზი. აი, კიდევ ერთი განსხვავება ქიმიურ და ფიზიკურ ცდათა შორის. ფიზიკურ ცდის დროს, საქმე გვქონდა მხოლოდ ერთ ნივთიერებასთან, ქიმიურ ცდის დროს კი მოქმედებს რამდენიმე ნივთიერება. გნებავთ, ფიზიკურად შევისწავლოთ გოგირდი. ვიღებ გოგირდის ნაჭერს, ვღებ დანის წვერზედ და ფრთხილად, რათა უცხად არ აინთოს, ვათბობ ცეცხლზე. აი, გოგირდი დნება, დანახე თხელადი ჩნდება, მაგრამ ეს თხელადი ისევ-ისე გოგირდია. კიდევ გავათბოთ ეს თხელადი; აი, გოგირდის წვეთები დაპატარავდა და, აჰა, კიდევ გაჰქრა. გოგირდი გადიქვა გაზად, მაგრამ ეს გაზი ისევ ის გოგირდია და მხოლოდ გოგირდი. ეხლავე დაგიმტკიცებთ ამას. გოგირდის ორთქლს დავახვედრებ ცივ თეფშს.

ჰხედავთ, თეფშს დააჩნდა წვრილი, ძალიან წვრილი, ყვითელი ნამცეცები. ეს ნამცეცები შესდგება წმინდა გოგირდისაგან. მათი




ფერი არის ნამდვილი გოგირდის ფერი. ამ ცდაში გოგირდი ისევე გამოვხადეთ, როგორც, გახსოვთ, ვხდილით წყალს. მაგარ გოგირდისგან ბოლოს და ბოლოს მივიღეთ ისევ მაგარი გოგირდი. წინად კი, როდესაც გოგირდი აინთო, საქმე სულ სხვანაირად დაბოლოვდა: მივიღეთ გოგირდის გაზი და არა წმინდა გოგირდი. გოგირდის გაზი, ცივ თეფშის



მიკარებაზე არ გაიყინება და არ გადიქცევა გოგირდის ნამცეცებად. წითელი ან ცისფერი ყვავილები ძირწითელასი, ანთებულ გოგირდის ალთან მიკარებაზე, თეთრდება, წმინდა გოგირდის ორთქლზედ კი ფერი არ ეცვლება, მხოლოდ ფურცლებს, ყვითელ ფერფლად დააჩნდება გოგირდის წმინდა წვრილი ნამცეცები. როდესაც გოგირდი იორთქლება, არაფერსა ვგრძნობთ, ხოლო ანთებულ გოგირდის გაზმა კი თვალი და ყელი დაგვწვა.

**რთული ნივთიერებანი.** მაშ უკვე გავიგეთ, რომ გოგირდის გაზი, უბრალო ორთქლად ქცეული, გოგირდი არ არის. ეს გაზი შესდგება გოგირდისა და სხვა რომელღაც ნივთიერებისაგან. საიდან გაჩნდა ეს ნივთიერება? ჰაერიდან: რომ მართლა ჰაერში იმყოფება ეს ნივთიერება, ამას ახლავე დაგიმტკიცებთ: წყლით საესე ბალიაში მცურავ ნაფოტზე დავდებ გოგირდის რამდენსამე ნამცეცს, ავანთებ გოგირდს და ზედ მაშინვე ქიქას დავაფარებ, ისე კი რომ ქიქის ნაპირები წყალში იყოს. ჰაერი ქიქაში თბება და ამის გამო შიგ მდგარი წყალი დაბლა იწვეს. გოგირდი ჩაქრა. ჰაერი ნელ-ნელა ცივდება და წყალიც ისევ მაღლა ადის. მაგრამ უკვირეთ, წყალი წინანდელზე მაღლა ამოვიდა. ეს რას ნიშნავს? ქიქიდგან ჰაერი არ გამოსულა, ჩვენ კი ვხედავთ, რომ ქიქაში ჰაერი ნაკლებად არის. აშკარაა, რომ ანთებულმა გოგირდმა თან წაიღო ჰაერის ნაწილი. ვაიგეთ, თუ არა?



— მე არ მესმის, წყალმა რად ამოიწია წინანდელზე მაღლა? ჰაერის ნაწილი ხომ არ დაიკარგა, შეუერთდა გოგირდს და მასთან ერთად გადიქცა ამ სუნთან გაზად. რა იქმნა ის გაზი?

— მართალს ამბობ, კოტე. გოგირდის გაზს ქიქაში უკვირავს ადგილი, და სწორედ იმდენი, რამდენიც ეჭირა გამქრალ ჰაერს. საქმე რომ ამითი გათავებულებიყო, წყალი ისევ თავის



სიმაღლემდის ამოვიდოდა და ეს ცდა არაფერს დაგვიმტკიცებდა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ გოგირდის გაზი მაშინვე გაიხსნა წყალში, აბა, გემოც გაშინჯე თითით—მართლაც წყალი გამჟავებულა.—ღიად, სწორედ მაგიტომაც დაარქვეს გოგირდის სიმჟავე. ახლა კი რაც გვინდოდა, გავიგეთ; გავიგეთ, რომ გოგირდის გაზი არის რთული ნივთიერება. შესდგება გოგირდისა და ჰაერის ერთ-ერთ ნაწილისაგან. გახსოვთ, წინად ერთი ჩვენი ცდა: რკინა დავასველეთ შაბიამანის ზეთში და მივიღეთ მწვანე თვლები—რკინის შაბიამანი, ანუ აჯასპი. შაბიამანიც—რთული ნივთიერებაა. ნუ იფიქრებთ, რომ ყველა რთული ნივთიერებანი ხელოვნურად კეთდება. პირიქით, ყველა ის ნივთიერებანი, რომლებსაც ვპოულობთ ბუნებაში, რთული ნივთიერებაა. აი, მაგ. კირის ქვას ჩავდებ წყლით სავსე ქიქაში და შიგ გოგირდის სიმჟავის ერთ ან ორ წვეთს ჩავასხამ, ხელავთ—კირი იხსნება მჟავე წყალში, ამასთან შიშინებს და უშვებს გაზის ბურცებს, რომლებიც მაშინვე წყლის ზედა-პირზე მოტივტივდნენ. ეტყობა, ეს გაზი წინად კირის ქვაში ყოფილა შეერთებული სხვა ნივთიერებასთან. ახლა, სიმჟავის გავლენით, ეს მეორე ნივთიერება წყალში გაიხსნა. გაზი კი ბუშტებად გამოვიდა ქვიდვან. მაშასადამე—კირის ქვა რთული ნივთიერებაა. თქვენ, მგონი, გინდათ მკითხოთ, არიან კი სადა ნივთიერებანიო? არიან და შეიძლება ოდესმე აღმოაჩინონ, რომ ეს სადა ნივთიერებანიც რთულნი ნივთიერებანი არიან, მაგრამ ჯერ ჯერობით კი ისინი, სადა ანუ მარტივ ნივთიერებად უნდა ჩავთვალოთ. აი, მაგ. გოგირდი მარტივი ნივთიერებაა, აგრედვე რკინაც. ყოველი რთული ნივთიერება შეიძლება გავანაწილოთ და მივიღოთ მისგან რამდენიმე მარტივი ნივთიერება. აგრედვე, რამდენისამე მარტივ ნივთიერების შეერთებით მივიღებთ რთულ ნივთიერებას. ქიმიის მკოდნე ადამიანი, ქიმიკოსი, ქიმიურ გამოკვლევის დროს, ადგენს და





ანაწილებს სხვა და სხვა ნივთიერებას. განაწილებს შემწვობით იგებს ნივთიერების შემადგენელ ელემენტებს. შედგენის შემწვობით კი აზავებს რთულ ნივთიერებას, ხან და ხან სრულიად ახალს, და ხშირად ფრიად სასარგებლო ნივთიერებას.

**მარტივი ნივთიერებანი.** ვოგირდი და რკინა, როგორც ვითხარით, მარტივი ნივთიერებაა. ჩვენ მხოლოდ 70 მარტივი ნივთიერება ვიცით. მათი მომეტებული ნაწილი მაგარ მდგომარეობაშია. მაგ. ოქრო, ვერცხლი, თითბერი, რკინა, თუთია და სხვ. და სხვ. ლითონებს გარდა, მარტივი ნივთიერებანი მაგარ მდგომარეობაშია ვოგირდის, ნახშირის, ფოსფორის და სხვა სახით. მარტივი ნივთიერება, თხელადი—ჩვენ მხოლოდ ვერცხლის წყალი ვიცით. ეს წყალიც ლითონია. არის კიდევ ოთხი ჰაერგვარი მარტივი ნივთიერება. ესლა არ დავისახელებთ, რადგანაც ჯერ არ იცნობთ. იქნება იფიქროთ, ჰაერი და წყალიც მარტივი ნივთიერებააო. სრულიადაც არა. ჰაერი შესდგება რამდენისამე მარტივ და რთულ ნივთიერებისაგან, აგრედვე წყალიც შესდგება ორ მარტივ გაზისაგან. ესეც უნდა იცოდეთ, რომ ჰაერში გაზები არეულია ერთმანეთში, ამიტომაც ჰაერს ამ გაზების ნარევეს უწოდებენ. წყალში კი, მისი შემადგენელი გაზები ქიმიურად შეერთებულა.

**განსხვავება შენაერთს და ნარევეს შუა...** რკინისა და ვოგირდის ნაფხეკებს ჯოხით რამდენჯერმე წაუსვ-წამოვუსვამ. ესლა შეუძლებელია გაარჩიოთ, სად არის რკინა და სად არის ვოგირდი. ჩვენს მაგიდაზედ ჰყრია ერთ ნაირი, ნაცრის ფერი ფხვნილი. მაგრამ ამ ფხვნილიდან ადვილად გამოვარჩევთ რკინას და ვოგირდს. ვანო, აბა შეუბერე. უცქირეთ, ვოგირდის ნამცეცები, როგორც უფრო სუმბუქი, შორს გაიფანტნენ, რკინის მძიმე ანაფხეკი კი თავის ალაგას დარჩა. ვადარჩევა შეიძლება ანდამატის შემწვობითაც. შევავროვებ ფხვნილს ერთად და ზედ გადავატარებ ანდამატს. რკინის

ანაფხეკნი ახტნენ და ანდამატს მიეკვრნენ. გოგირდი მგებლს ზე დარჩა. მაშასადამე, ჩვენს ფხვნილში გოგირდი და რკინა მხოლოდ აირიბ. ეს ფხვნილი არის გოგირდის და რკინის ნარევი. კარგი, განვაგრძოთ ცდა. ურევ ისევ გოგირდსა და რკინას. აი, ფხვნილი ლამაზაქზეა; მივაკარებ ლურსმნის გახურებულ წვერს. ნახეთ, რა მოხდა! ფხვნილი ამოიბურცა, გაიბერა, თავის თავად გათბა და ბოლოს გადაიქცა რაღაც შავ ცომად, რომელიც ნელ-ნელა ცივდება და მაგრდება. მივიღეთ ახალი ნივთიერება. ეს ნივთიერება არა ჰგავს არც რკინას და არც გოგირდს. ანდამატიც არავითარ გავლენას არ ახდენს იმაზედ. ეს უბრალო ნარევი აღარ არის; გოგირდი და რკინა გაჰქრა, ორივე შეერთდა და ამ შეერთებით შეიქმნა რაღაც ახალი ნივთიერება. ქიმიაში ამ ნივთიერებას ეძახიან გოგირდის რკინას. გოგირდის რკინა არის ქიმიური შენაერთი. წინა ცდის დროს ცოტა გოგირდის სიმჟავიანი წყალი დაგვრჩა; ამ წყალისას რამდენსამე წვეთს დავასხამ გოგირდის და რკინის ანარევს. მუავე წყალი არ მოქმედებს გოგირდზე; რკინა კი, როგორც იცით, იხსნება სიმჟავეში და გადაიქცევა რკინის შაბიამნად ანუ აჯასხად. ასეც მოხდა: გოგირდმა და რკინამ ანარევში არ უღალატეს თავიანთ თვისებას. ახლა რამდენსამე წვეთს დავასხამ გოგირდის რკინას. რა მოგივიდათ? რა ყველამ ცხვირზედ ხელი მოიქირეთ? ჰოო, მეცა ვგრძნობ არა სასიამოვნო სუნს. ლაყი კვერცხი რომ გატყდება ხოლმე, სწორედ ასეთი სუნი დადგა. ხომ ჰხედავთ, გოგირდის და რკინის შენაერთი იჩენს ისეთ თვისებას, რომელიც არც რკინას და არც გოგირდს არა ჰქონია. მაშ, ასე: რთული ნივთიერება





არის ორგვარი: ანარევი და შენაერთი. ეს ორი სახე ნივთიერებისა სხვა და სხვა საშუალებით იპოვება გოგირდის და რკინის ანარევის მისაღებად, ორივენი დაფხვნი და, როგორც შემეძლო, ისე შეურიე. მაგრამ ეს არა კმარა გოგირდის და რკინის ქიმიურ შენაერთის მისაღებად. ისე უნდა მომემართა საქმე, რომ გოგირდი და რკინა თავისთავად შეერთებულიყო; ამისათვის გავათბე ანარევის ნაწილი ლურსმნის გახურებულ წვერით. მხოლოდ მაშინ იწყო გოგირდმა რკინასთან შეერთება. ამის გამო მთელი ანარევი გათბა, რკინა მთლად შეუერთდა გოგირდს და უბრალო ანარევი გარდიქნა ქიმიურ შენაერთად. სხვა განსხვავებაც არის ქიმიურ შენაერთსა და უბრალო ანარევის შუა. ანარევის მიღებას გოგირდის და რკინის რაოდენობამ სრულიადაც არ დაუშალა. ორივეს, რამდენსაც მინდა, იმდენს ავიღებ; ამითი საქმე არ გაფუჭდება. ქიმიურ შენაერთის მიღების დროს კი, მე ჩემი თვითნებობა უნდა გვერდზე გადავდო. უნდა ვიცოდე გოგირდის და რკინის განსაზღვრული რაოდენობა. ამ რაოდენობას გვიჩვენებენ ქიმიის კანონები.

**ქიმიის კანონები.** გოგირდის 4 მისხალი შეუერთე რკინის 7 მისხალს. მივიღე გოგირდის რკინა, რომლის წონა 11 მისხალია, თუმცა ამ შეერთების დროს გოგირდი და რკინა გაჰქრა, მაგრამ ამით შენაერთს არც დააკლდა, არც მოემატა. აღებული იყო 11 მისხალი, მივიღეთ ისევ 11 მისხალი. ესლა გოგირდის რკინა რომ გავანაწილოთ, მივიღებთ გოგირდის 4 მისხალს და რკინის 7 მისხალს. ქიმიურ შენაერთში მარტივი ნივთიერებანი ინარჩუნებენ თავიანთ წონას. აი, ქიმიის პირველი კანონი. ესევე ფიზიკაშიც. ნივთიერება არც ჰქრება უკვალოდ, არც ძალუძს შეიქმნეს არარაობიდგან. ეს ბუნების კანონია.

რა მოხდება, რომ გოგირდის 4 მისხალს შეუერთო რკინის 7 მისხალი კი არა, ათი მისხალი? მივიღებ თუ არა გოგირდის რკინას, 14 მისხლიანს, წონით? კიდევ ეგ არის,



რომ არა: სულ ერთია, მივიღებთ ისევ 11 მისხლიანს ერთს. რკინის ზედ მეტი სამი მისხალი არ შევა შენაერთში და ისევ წმინდა რკინად დარჩება. ესევე მოხდება, თუ რომ ავიღებ გოგირდის 5 მისხალს და რკინის 7 მისხალს. გოგირდის მეტი ერთი მისხალი არ შეუერთდება რკინას და დარჩება შენაერთის გარეშე. ამ ცდაზეა დამყარებული ქიმიის მეორე კანონი: ქიმიურ შენაერთის მისაღებად, მარტივი ნივთიერებანი უნდა განსაზღვრულ რაოდენობისა ავიღოთ — მაშასადამე, ქიმიურ შენაერთის შენადგენი ყოველთვის ერთი და იგივეა. მაგ. თუ სადმე ვიპოვნი გოგირდის რკინის ნაჭერს; უკვე წინდაწინ მეცოდინება, რომ ამ ნაჭერში, 4 მეტერთმეტედი გოგირდია, და 7 მეტერთმეტედი — რკინა.

6. ლოძაური.

(გაგრძელება აქნება).



# რ ე ბ უ ს ი.


(წარმოდგენილი გ. ყანჩაველის მიერ).



გ ”



პ ”



ყ ”



”



”


”  
ზ



ბ




ვ



„ მ 3 ” ზ ე მ



„ ქ





ა  
ბ

”



პ


თმის სდკვაგე



”



”



”  
ს

რ  
პ

მე-2 №-ში მოთავსებულ ჩაბუსულ ამოცანის, ჯმის და ჩაბუსის აღსნა:

1. ბარათაშვილი. ხიდი.
2. შოთა, აკაკი, ილია.
3. სახლი ავაგე ხისაო, არ არის ნაფოტისაო, შედიან და გამოდიან, ანგელოზები ღვთისაო.

რელაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.